# სარბიელი

სპორტული გაზეთი   პარასკევი 27 თებერვალი 2004 №43 (2062)   ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაფერი დამთავრდა



## ჟორდანიამ ალენ ჟირესი ირჩია

მარტის დამდეგს მიშელ პლატინი მიხეილ სააკაშვილს საქართველოს ნაკრების ფრანგ მწვრთნელს ჩააბარებს







# დიდმა მიშელ პლატინიმ პატარა ჟირესი მოგვცა

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი ფრანგი ალენ ჟირესი იქნება.

როგორც წუხელ შევიტყვეთ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ საბოლოოდ არჩევანი ამ ჩია, 161-სანტიმეტრიან ფრანგზე შეაჩერა და ამ ამბის გამოცხადებას დღეს აპირებს. თუმც ნუ გავიკვირვებთ, პრეზიდენტმა ახალი თავკაცის დანიშვნაზე განცხადება დღესაც თუ არ გააკეთა. საამისო მაგალითი კი გვაქვს, უკრაინელი ანატოლი ბიშოვეცის დანიშვნა ფაქტობრივად გადაწყვეტილი რომ იყო, საქმე სწორედ მაშინ ჩაიშალა. საზოგადოებამ ეს კანდიდატურა არ მიიღო, ბიშოვეცი არც მთავრობას ეხატებოდა გულზე.

ალენ ჟირესის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა კი მთლად მოულოდნელი არ არის. მისი გვარი შესაძლო მწვრთნელების სიაში კარგა ხანია სახელდებოდა. თუმც უფერული სამწვრთნელო წარსულის გამო ჟირესი რეალურ კანდიდატად არ ითვლებოდა. მისი დანიშვნის ამბავი ხელახლა მაშინ წამოტივტივდა, როცა ბიშოვეცი მთავრობამ დაიწუნა და პრეზიდენტი ჟორდანია მწვრთნელის საძებრად ჯერ კიევში, მერე მოსკოვში, ახლა კი დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა.

ჟორდანია გუშინ შვეიცარიაში იმყოფებოდა, ფიფა-უეფაში ფედერაციის საქმეებს აგვარებდა, დღეს კი, ალბათ, პარიზში იქნება, ჟირესთან მოლაპარაკებას დაასრულებს და მის დანიშვნას ქვეყანას ამცნობს.

შეგახსენებთ, ალენ ჟირესი ფიფას ალმასკომის წევრისა და, როგორც ამბობენ, ფიფას მომავალი პრეზიდენტის, მიშელ პლატინის პროტეჟეა. ჟორდანიას თხოვნაზე, ეგებ კვალიფიციური მწვრთნელის მოძებნაში დაგვეხმაროთო, პლატინიმ მას პირველად სწორედ ჟირესი უხსენა, ახალგაზრდაა და ძალიან ამბიციურიო. პლატინის რეკომენდაციის მიუხედავად, ჟორდანიას ჟირესისკენ გული არ მისდიოდა, თუმც ახლა მაინც ეს ნაბიჯი გადადგა — პლატინი საჭირო კაცია.

მერაბ ჟორდანია ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებს, პარასკევს ვისაუბროთო, გვითხრა. კომენტარისგან თავი შეიკავა თავად ალენ ჟირესმაც, ჟორდანიასგან განსხვავებით, მან ორშაბათისთვის გვთხოვა დაკავშირება.

— დღეს ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ — გვითხრა გუშინ ჟირესმა.

— მაშ, როდის გააკეთებთ ამას?

— 1 მარტს დამირეკეთ.

— მანამდე რომ დაგირეკოთ

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით

— ჟორდანიას უკვე შეხვდით?

— კომენტარს ვერ გავაკეთებ, დღეს მაპატიეთ — დამტვრეული ინგლისურით გვიპასუხა ნაკრების ახალმა თავკაცმა.

და კიდევ: მარტის დამდეგს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთს მიემგზავრება და, როგორც შევიტყვეთ, მისი შეხვედრა მიშელ პალტინისთანაც იგეგმება. სავარაუდოდ, სწორედ ამ შეხვედრაზე წარუდგენს პლატინი სააკაშვილს საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს.

**კობა ინასარიძე**

# ლომაიას ბრალი არ დაუმტკიცდა

**ნევიო სკალამ** მოსკოვის „სპარტაკის" კარის დაცვა გიორგი ლომაიას ანდო. უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის გუშინ გამართული პირველი მატჩების ანგარიშებს თვალს თუ გადაავლებთ, ცხადია, იფიქრებთ, ჩვენებურს ნდობა ვერ გაუმართლებიაო — ესპანურმა „მალიორკამ" სამი უპასუხო გოლით დაამარცხა მოსკოველები. მაგრამ წუხელვე რუსულ ვებ-გვერდებს რომ თვალი შევავლეთ, ლომაიაზე ცუდი ვერაფერი ამოვიკითხეთ, ეგ კი არა, სპარტაკელთა მეკარეს, რომელიც პირველად თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში, რამდენჯერმე აშკარა გოლისგან გადაურჩენია გუნდი. ესპანელთა დიდი ანგარიშით გამარჯვება უფრო მცველთა მიუტევებელი შეცდომებისა და სპარტაკელი თავდამსხმელების ქარს გატანებული საგოლე შანსების დამსახურებააო, ირწმუნებიან რუსი ჟურნალისტები.



გიორგი ლომაიას პირველი გოლი სამუელ ეტოომ გაუტანა

## უეფას თასი

UEFA CUP 1/16 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ UEFA CUP

სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 0:3 მალიორკა (ესპანეთი)
0:1 ეტოო (67), 0:2 ტონი გონსალესი (80), 0:3 პერერა (85)
სპარტაკი: ლომაია, პარფიონოვი, კოვტუნი, მიტრესკი (კინვი 72), კებე, პეტკოვიჩი, სამედოვი (ს. სტანიჩი 90), ტრობოკი, კალინიჩენკო, პიანოვიჩი, პავლენკო (ო. ივანოვი 90)
მწვრთნელი: ნევიო სკალა
მალიორკა: მიკი, რამისი, ოლაიზოლა, კამპანო (ტონი გონსალესი 59), პოლი, ლუსენჰოფი, მარკოსი, ნაგორე, ფინიდი, ეტოო (პერეირა 83), ბრუგინკი (კორეა 73)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ნაგორე (58)
მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი)
20 000 მაყურებელი

ვოლერენგა (ნორვეგია) 1:1 ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)
0:1 ბელამი (39), 1:1 ნორმანი (54)

ვროცლინი (პოლონეთი) 0:1 ბორდო (საფრანგეთი)
0:1 შამახი (90)
გაძევება: ედუარდო კოშტა (30, „ბორდო")

მარსელი (საფრანგეთი) 1:0 დნიპრო (დნეპროპეტროვსკი, უკრაინა)
1:0 დროგბა (55პ)

გაზიანთეფსპორი (თურქეთი) 1:0 რომა (რომი, იტალია)
1:0 შიმშეკი (19)

პარმა (იტალია) 0:1 გენჩლერბირლიგი (თურქეთი)
0:1 სკოკო (60)

პერუჯა (იტალია) 0:0 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)

სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) 3:0 ტეპლიცე (ჩეხეთი)
1:0 ლარსონი (3), 2:0 სატონი (12), 3:0 ლარსონი (90)

ოსერი (საფრანგეთი) 0:0 პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)
გაძევება: კაპო (66, „ოსერი")

ლივერპული (ინგლისი) 2:0 ლევსკი (სოფია, ბულგარეთი)
1:0 ჯერარდი (67), 2:0 კიუელი (70)

გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) 2:2 ვილიარეალი (ესპანეთი)
0:1 ს. ანდერსონი (7), 0:2 რიკელმე (22), 1:2 ერდოგანი (26), 2:2 პრატესი (52)
გაძევება: ბალესტეროსი (61, „ვილიარეალი")

ბრიუგე (ბელგია) 1:0 დებრეცენი (უნგრეთი)
1:0 ლანგე (40)

ბრონდბიუ (კოპენჰაგენი, დანია) 0:1 ბარსელონა (ესპანეთი)
0:1 რონალდინიო (63)

სოშო (საფრანგეთი) 2:2 ინტერი (მილანი, იტალია)
0:1 ვიერი (8), 1:1 ფრო (59), 1:2 რეკობა (61), 2:2 ფრო (81)

ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) 1:0 რუსენბორგი (ტრონჰეიმი, ნორვეგია)
1:0 ზაჰოვიჩი (60)

ვალენსია (ესპანეთი) 3:2 ბეშიქთაში (სტამბოლი, თურქეთი)
0:1 პანჩუ (17), 1:1 სისოკო (25), 1:2 პანჩუ (39), 2:2 კანობიო (43), 3:2 დ. ნავარო (90)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 3 მარტს*

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. პირველი მატჩი



ბენი მაკკარტი

# გადავრჩით!

## მაკკარტიმ ინგლისელებს თავიც მოაწონა და თავურიც

**პორტუ (პორტუგალია) 2:1 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)**
0:1 ფორჩუნი (14), 1:1, 2:1 მაკკარტი (29, 78)
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ალენიჩევი (იანკაუსკასი 63), პ. მენდეში, მანიშე, დეკო სოუზა, მაკკარტი (მორაეში 83), კარლოს ალბერტო (რ. ფერნანდეში 75)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**მანჩესტერ იუნაიტედი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი (ოში 70), გ. ნევილი, ბრაუნი, ფორჩუნი, ბათი, კინი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროოი, საჰა (კ. რონალდო 76)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ფორჩუნი (30), ბათი (88)
გაძევება: კინი (87)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
49 977 მაყურებელი

**ჟოზე მაურინიუ** კმაყოფილია — მისი „პორტუ“, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაცილებით სჯობდა და თან, ახალი სარბიელი, „ესტადიო დო დრაგაოც“ მშვენიერი შედეგით მონათლა.

„მანჩესტერელებს გაცილებით ვჯობდით“ — განაცხადა „პორტუს“ თავკაცმა, ოღონდ ვინ იცის, მისი სიტყვები უფრო დიპლომატიური და მოკრძალებული ყოფილიყო, მატჩის დამთავრებისთანავე ალექს ფერგიუსონის ბრაზიანი საყვედურები რომ არ დასტეხოდა თავს.

„მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მათ გუნდში მსოფლიო კლასის რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს და თავად გუნდიც დედამიწაზე ერთ-ერთი საუკეთესოა“ — დასძინა მაურინიუმ.

არადა, დასაწყისი „იუნაიტედის“ გახლდათ. მე-14 წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ. პოლ სქოულზის საჯარიმოდან დარტყმული ბურთი „პორტუს“ მეკარე ვიტორ ბაიამ უხეიროდ, წინ მოიგერია და იგი კარში კვინტონ ფორჩუნმა შეაგდო.

ჩამორჩენის მიუხედავად, „პორტუმ“ ინიციატივა არ გაიტეხა, სტუმრებს ვაჟკაცურად შეუტია და 29-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. ეს ბენი მაკკარტიმ შეძლო, რომელმაც, სხვათა შორის, მოგვიანებით მეორედაც შეაგდო ინგლისელთა კარში და უნდა ითქვას, რომ ორივეჯერ ძალიან ლამაზი შესრულებით მიაღწია მიზანს.

„ახლა მანჩესტერში მეტისმეტად ძნელი შეხვედრა გველის — განაგრძო მაურინიუმ, — ამ საღამოს ჩვენი გულშემატკივარი მართლაც ძალიან ამოგვიდგა მხარში და ფანტასტიკური ატმოსფერო შექმნა. მათ მინდა დავპირდე, რომ ინგლისში თავის დასაცავად არ ჩავალთ“.

ალექს ფერგიუსონის დიდი გულდაწყვეტა კი, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ ეს მისი, როგორც მწვრთნელის მე-100 მატჩი გახლდათ ჩემპიონთა ლიგაში.

„ჩვენთვის ცუდი საღამო გამოვიდა - განაცხადა მან — მგონი, ამ წაგებაზე უმჯობეს შედეგს ვიმსახურებდით. მატჩი ძალიან კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე გავჩერდით. როდესაც ბურთს ვფლობდით, ამ უპირატესობას ვერ ვიყენებდით, არადა, სტუმრად რომ თამაშობ, ასეთ მომენტებში მოთმინებით უნდა აღივსო. მეორე მხრივ, კიდევ კარგი, რომ 1:2-ით გადავრჩით. ჩინებული სტარტი ხელიდან გავუშვით და შემდეგ ველარ ვივარგეთ, მაგრამ მაინც ისე გამოვიდა, რომ შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი გვაქვს, რასაც თვით „პორტუც“ კი ხვდება.“

შემდეგ ალექს ფერგიუსონმა მაკკარტის მეორე გოლი დააფასა ღირსეულად:

„დიდებული თავური იყო, ფანტასტიკური. ასეთ დროს ვერაფერს გააწყობ“.

ამ შეხვედრაში იყო ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, როდესაც როი კინმა მეკარე ბაიას დააბიჯა და იგი მოედნიდან გააძევეს. რამდენადაც ცნობილია, ფერგიუსონის მაურინიუსადმი გამოთქმული მატჩისშემდგომი საყვედური სწორედ ამ ეპიზოდს ეხებოდა და დაბიჯების თავისებურ ინტერპრეტაციას გულისხმობდა (ამაზე ქვემოთ უფრო წვრილად მოგითხრობთ), თუმცა საბოლოოდ ყველაფერზე მნიშვნელოვანი მაინც ინგლისელთათვის იმედისმომცემი ანგარიში გამოდგა.

„ჩვენს დაპირისპირებაში ბევრი საინტერესო ჯერ წინ არის. კარგია, რომ სტუმრად გოლი გავიტანეთ და მეოთხედფინალში გასვლა შეგვიძლია“ — დასძინა ფერგიუსონმა.

საინტერესოა, რომ „პორტუს“ ინგლისში ექვსჯერ უცდია ბედი და ვერც ერთხელ ვერ მოუგია.

**პაპუნა ძედია**



მანჩესტერელმა ლუი საჰამ ჩემპიონთა ლიგის სადებიუტო მატჩში თავი ვერაფრით გამოიჩინა

# შეწოლა პორტუგალიურად

## მაურინიუ ფერგიუსონისგან ბოდიშს ითხოვს



ჟოზე მაურინიუ

„პორტუ“ — „მანჩესტერის“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ, მცირე სკანდალი მოხდა: გამარჯვებულთა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა სერ ალექს ფერგიუსონს. ფერგიუსონმა ხელი კი ჩამოართვა, მაგრამ იქვე ჩხუბი აუტეხა, შენი მეკარე ვიტორ ბაია პროვოკატორი და სიმულიანტიაო. საქმე შეეხებოდა თამაშის მიწურულს მომხდარ ამბავს, როცა ვიტორ ბაია საჯარიმოში გამოჭრილ ბურთს ჩაუწვა და დაეუფლა, ამ ბურთისკენ მიმქროლავმა როი კინმა კი ბაიას ბეჭზე ფეხი დაბიჯა და წითელი ბარათიც მიიღო მოურიდებელი უხეშობისთვის.

ფერგიუსონმა ჩათვალა, რომ ბაია განგებ „შეუწვა“ კინს და ამიტომაც აღშფოთდა. მაურინიუ კი, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმა: „ცხადია, მესმის მისი. იმ გუნდთან წააგო, რომელსაც იმის ათი პროცენტი ფული არა აქვს, რამდენიც მის გუნდს“.

მაურინიუმ ასევე ბოდიში მოითხოვა ფერგიუსონისგან, ამ უკანასკნელის ბოდიშთან დამოკიდებულება კი ცნობილია.

„ვიტორმა მითხრა, რომ ბურთს ჩაუწვა, კინმა კი ფეხი არ მოარიდა და გვარიანად ატკინა ზურგი“ — განმარტა მაურინიუმ.

როი კინის გაძევება კი იმას ნიშნავს, რომ საპასუხო მატჩში „მანჩესტერი“ უკაპიტნოდ იქნება.

„რა თქმა უნდა, უმისოდ თამაში ცუდია — თქვა ფერგიუსონმა — ინციდენტი ვერაგი იყო. ეგრე დაბიჯება და უაზრო უხეშობა როის სტილი არ არის. ეს ინციდენტი მეკარემ შექმნა. არ მიკვირს მსაჯების განაჩენი, მაგრამ მეკარე ნება-ნება შეუწვა როის და მსაჯებსაც ასე დაანახა“.

ჯერ არავინ იცის, რად დაუჯდება „მანჩესტერს“ კინის უკანასკნელი სიგიჟე და საპასუხო მატჩში არყოფნა. გუნდს ისედაც აკლია ფეხბურთელები, დაცვაში თამაში რომ იციან.

**ირაკლი გამყრელიძე**



ალექს ფერგიუსონი

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. პირველი მატჩები




ხუან კარლოს ვალერონი ტურინელებს ფეხებში გაეჩხირა

## საბოდიშო [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ირურეტამ ტურინში ფინალი დანიშნა

**დეპორტივო** (ლა კორუნია, ესპანეთი) 1:0 **იუვენტუსი** (ტურინი, იტალია)
1:0 ლუკე (38)
**დეპორტივო:** მოლინა, სკალონი, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო, ვიქტორი (მანუელ პაბლო 85), მაურო სილვა, სერხიო, ვალერონი, ტრისტანი (პანდიანი 69), ლუკე (ფრანი 81)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, მონტერო (ბირინდელი 56), პესოტო (კონტე 63), ძამბროტა, ტაკინარდი, აპია, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (მიკოლი 46)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ნაიბეტი (63), კონტე (90)
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
28 000 მაყურებელი

**„დეპორტივო ლა კორუნია“** კარგ ფორმაში რომ არის და საკუთარი სიძლიერისა სწამს, იმითაც გამოჩნდა, რომ „რიასორზე“ ჩატარებული მატჩის შემდეგ ესპანელთა მწვრთნელმა, ხავიერ ირურეტამ გულისწყრომა გამოთქვა, „იუვენტუსს“ მხოლოდ 1:0 მოვუგეთო. მხოლოდ 1:0 „იუვენტუსთან“! ხომ კარგია?

მეორე მხრივ, ირურეტას მოსწონებია თამაშის მიმდინარეობა, მისი ფეხბურთელების გადაადგილებანი ბურთითა და უბურთოდ, თუმცა უშუალოდ კარის წინ მეტი სიზუსტე გვმართებდაო, უთქვამს. შეხვედრის ერთადერთი გოლი კი მწვრთნელთან ბოლო დღეებში ნაჩხუბარმა ალბერტ ლუკემ გაიტანა. ერთი სიტყვით, „დეპორტივომ“ მოიგო, მაგრამ ორი კვირის მერე, ტურინში, ძნელი საპასუხო მატჩი ელის.

„1:0 საკმაოდ საკამათო შედეგია, მით უფრო, თუ გავიხსენებთ, როგორ ვაკონტროლებდით მთელი მატჩის მსვლელობას — განაცხადა ირურეტამ — ჩემმა გუნდმა საგოლე მომენტებიც შექმნა, მაგრამ სიზუსტე დააკლო. გარდა ამისა, ხაზი მინდა გავუსვა, რომ თუ პრიმერადივიზიონის ბოლო ხუთ მატჩს გავიხსენებთ და დღევანდელსაც დავამატებთ, უკვე ექვსი მატჩი გამოდის, რაც გოლი არ გაგვიშვია. ტურინში თამაში კი, ბუნებრივია, ძნელი იქნება. მე ვიტყოდი, ეს მატჩი თავისთავად ფინალის მსგავსი გამოვა“.

ანგარიშით უკმაყოფილო დარჩენილა ლაკორუნიელთა ერთ-ერთი ვარსკვლავი ვიქტორ სანჩესიც:

„თამაშის წინ 1:0 რომ ეწინასწარმეტყველებინათ, კმაყოფილი დავრჩებოდი, მაგრამ ახლა, როდესაც შეხვედრა ჩატარდა, აშკარად გვაქვს გრძნობა, რომ უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო“.

მეორე მხრივ, „დეპორტივოს“ რიხსა და იმედს უთუოდ განაპირობებს ის გარემოება, რომ ეს გუნდი, აგერ უკვე მეოთხე წელიწადია, ხვდება „იუვენტუსს“ და „დელე ალპიდან“ კარგი შედეგით დაბრუნება მისთვის წარმოუდგენელი რამ სულაც არ არის.

ლიონელ სკალონი, ფეხბურთელი, რომელმაც ლუკეს საგოლე ასისტენტობა გაუწია:

„ტურინში ნამდვილად თავდაჯერებულნი ჩავალთ, იქ ერთი გოლიც რომ გავიტანოთ, შემდეგ ეტაპზე ჩვენ გავალთ, რადგან „იუვენტუსი“ სამ გოლს უბრალოდ ვერ შეგვიგდებს. ეს გამორიცხულია“.

მაგრამ ნათქვამია, მედალს ორი მხარე აქვსო და რიასორული ამბის თუ მედლის მეორე მხარე ის გახლავთ, რომ „იუვენტუსმაც“ კარგა მაღლიანი მომენტები გაუშვა ხელიდან. აშკარა უზუსტობებით თავი ალესანდრო დელ პიერომ და ფაბრიციო მიკოლიმ გამოიჩინეს. მათი საგოლე შესაძლებლობები იმდენად მარტივი იყო, რომ როგორც რეკლამირებულ ფეხბურთელებს ,თავიანთი სახელის გასამართლებლად ერთი მაინც უნდა გაეტანათ.

„ძალიან ვწუხვარ, ასეთი შანსი. რომ გავუშვი ხელიდან. ბოდიშს ვუხდი ბიჭებსა და კლუბს“ — აიწურა შემდეგ მიკოლი.

„დღეს „იუვემ“ ცუდად ითამაშა. არადა, ძალიან კარგად ვიცოდით რისი შემძლეა „დეპორტივო“ და ამიტომ საპასუხო შეხვედრაში ისევ იმ დიად „იუვენტუსად“ უნდა გარდავიქმნათ. სხვა მხრივ, მეოთხედფინალში გასვლა გაჭირდება“.

ამ შეხვედრაში დამარცხების გარდა „იუვენტუსმა“ ორი ფეხბურთელის ტრავმაც გადაიტანა. ეს ერთი მხრივ ამ მოთამაშეების, დავიდ ტრეზეგესა და პაოლო მონტეროს გამოკლების გამო იყო ცუდი და მეორე მხრივ იმიტომ, რომ მწვრთნელს, მარჩელო ლიპის სამი ცვლილებიდან ორი იძულებით გაუხდა განსახორციელებელი. ტრეზეგეს მხარი ეტკინა, ხოლო მონტეროს საზარდული. ლიპის თქმით, ტრეზეგეს მხარს ორი-სამ კვირიანი მკურნალობა მაინც დასჭირდება.

ლიპი: „საპასუხო მატჩი აბსოლუტურად სხვანაირი იქნება. დღეს „დეპორტივომ“ იმით ისარგებლა, რომ ლა კორუნიაში თავის დასაცავად არ ჩამოვსულვართ და თან პირველ ტაიმში შეცდომები დავუშვით. მეორე ნახევარში უკეთესად ვითამაშეთ, ხოლო მატჩის ანგარიში მეოთხედფინალში გასვლის იმედს გვაძლევს“.

„იუვეს“ განელ ნახევარმცველს, სტეფან აპიასაც სწამს, რომ ორი კვირის შემდეგ, „დელე ალპიზე“ ყველაფერი მისი გუნდის სასარგებლოდ გადაწყდება.

„აქ, სტადიონზე შექმნილი ატმოსფერო და „დეპორტივოს“ თამაში სრულად ეთანხმებოდა ერთმანეთს, ტურინში კი ჩვენი ქომაგები შექმნიან გარემოს“.

**პაპუნა ძედია**

## ვისაც შურერის შეშურდეს

**სოსიედადი** (სან სებასტიანი, ესპანეთი) 0:1 **ლიონი** (საფრანგეთი)
0:1 შურერი (18ს.კ.)
**სოსიედადი:** ვესტერფელდი, არანსაბალი, კვარმე, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (არანბურუ 74), კარპინი, გაბილონდო (ჩ. ლი 64), ალკისა, კოვაჩევიჩი, ნიჰათი (დე პაულა 80)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
**ლიონი:** კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, სარტრე (ბერტოდი 66), მ. დიარა, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, მალუდა, გოვუ (დორასო 80), ლუინდულა
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
გაფრთხილება: ბერტოდი (68), კუპე (73)
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)
28 000 მაყურებელი




ერიკ დეფლანდრემ დარკო კოვაჩევიჩს ჰაერშიც აჯობა

**რეინალდ დენიოს** „სოსიედადი“ გასული სეზონის აჩრდილიც აღარაა — ბასკებმა 30 ათასი დაღვრემილი ინჩასის თვალწინ „ლიონთან“ უკბილოდ ითამაშეს და თავიანთი უმწეობა გამოფინეს.

დენიუს გეგმა და მოედანზე მისი მოწაფეების „მახვილგონივრული“ თამაში, მეტი რომ არ ვთქვათ, მეტისმეტად მარტივი გამოდგა.

„სოსიედადი“ ჩვეულად ლიდერთა აქტივობას დაეყრდნო. და მატჩმაც ძირითადად ვალერი კარპინისა თუ სხვა თითო-ოროლა ძლიერი ფეხბურთელის კისერზე გადაიარა. ფრანგები დამხვდურთა თავდამსხმელებს კარგად გაუსწორდნენ, ბასკური შუა ხაზი არად ჩააგდეს, ხოლო დაცვასთან თავისუფალი ვიზიტებით ხომ გაილალეს. ჟუნინიო კვლავინდებურად მოწოდების დონეზე აღმოჩნდა, ლუინდულამ და გოვუმ კი მასპინძელ მეკარეს ბევრი თავსატეხი გაუჩინეს.

თამაში სტუმართა შეტევებით დაიწყო — მე-2 წუთზე ჟუნინიომ მალუდას პასი მიიღო და სახიფათოდ დაარტყა. „სოსიედადმა“ გალების იერიშს კოვაჩევიჩის თავურით უპასუხა — დარკომ კარპინის კუთხურის გოლად გარდაქმნა სცადა, მაგრამ ამაოდ. მერე ორჯერ ზედიზედ ხაბი ალონსო იყო „ლიონის“ მისადგომებთან, თუმც მისი გარჯა უშედეგო გახლდათ — პირველად ბურთმა კარს გარედან ჩაუქროლა, მერე კი მეკარემ ივაჟკაცა. ამ ამბებიდან ცოტა ხანში კი მოხდა ის, რაც შურერს ალბათ, არასდროს დაავიწყდება — მალუდას ჩაწოდებული ბურთი უიღბლო შურერს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და „სოსიედადის“ კარის ბადეში იპოვა ადგილი — 0:1.

ბუნებრივია, რაც უნდა სუსტად ებურთავა, შინ მარცხი სანსებასტიანელთა მეტად მწარე ასატანი იყო, ამიტომაც მასპინძლები მედგრად ეკვეთნენ მეტოქის საჯარიმოს თუმც არეულად და უშედეგოდ. თურქი ნიჰათის გასროლას შეიძლებოდა, იქაურ ქომაგთა სიხარული მოჰყოლოდა, მაგრამ გრეგორი კუპესთვის ჰეთ თრიქის (რომლითაც კოვაჩევიჩი „ლიონს“ ემუქრებოდა) კი არა, მასპინძლებისთვის ერთი ბურთის შეგდებაც სანატრელი გახდა.

მეორე ნახევარში დენიომ სათადარიგო ჯარი აამოქმედა — არანბურუ ხაბი ალონსოს ნაცვლად, ლი ჩუნ სუ გაბილონდოს ადგილზე და დე პაულა ნიჰათის პოზიციაზე. საბოლოოდ მთელი ეს კარუსელი უშედეგო გამოდგა, რამეთუ მოედანზე შესულმა ხალხმა ხეირიანი ვერაფერი მოახერხა. კარპინმა ბურთი მოწინააღმდეგის ძელსაც გააკრა და კუპესაც გვარიანი შიში აჭამა, თუმცა იღბლიანიც ალბათ იმ დღეს „სოსიედადის“ წაქცევის მოსურნე იყო.

**ლადო ხომერიკი**

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004
## მერვედფინალი. პირველი მატჩი

შტუტგარტი (გერმანია) 0:1 ჩელსი (ლონდონი, ინგლისი)
0:1 მეირა (12ს.კ.)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ლამი, სოლდო, მაისნერი (ტიფერტი 46), ჰელდტი (კაკაუ 66), გლები, კურანი, საბიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჩელსი: კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯერემი„ მაკელელე, გრონკიაერი (დაფი 66), ლამპარდი, კრესპო (ჯ. კოული 89), გუდიონსენი (ჰასელბაინკი 73)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ლამპარდი (26), მაკელელე (28), კუდიჩინი (58), ბორდონი (66), ჯონსონი (87)
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
42 000 მაყურებელი

# რანიერიმ გაზეთები დახურა და დაფი გამოუშვა

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო და, ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოყოლებული, ოთხივე გასვლითი შეხვედრა მოვიგეთ. რა თქმა უნდა, იღბალიც საჭიროა და იგი დროულად დაგვეხმარა. „არსენალთან“ მარცხის შემდეგ ფსიქოლოგიურად გამოვკეთდით. ჩემს ბიჭებს საგაზეთო მონაჩმახების არ სჯერათ, მათ ჩვენი სამომავლო პროექტის სწამთ. მე მწვრთნელი ვარ და „ჩელსისთან“ ერთად მუშაობას გავაგრძელებ“ — ბოლო წინადადებით კლაუდიო რანიერიმ მედიას მიანიშნა, რომ გუნდიდან წასვლას არ აპირებს.

მატჩის დაწყებიდან დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში მასპინძლები გამართულად თამაშობდნენ და „ჩელსის“ დაცვა რამდენჯერმე სახიფათოდ გაარღვიეს.

ფერნანდო მეირამ კევინ კურანის მალევე გაუჩარხა პასი. ფორვარდმა ბურთი მკერდით სილვიო მაისნერს დაუგდო, მაგრამ ბოლოკაცის დარტყმული უხეირო გამოდგა.

ორიოდე წუთის შემდეგ ანდრეა ჰინკელმა მაისნერი კვლავ მოძებნა, დამსრულებელმა ბურთს გამეტებით დაჰკრა, მაგრამ კარის ჩარჩოში კარლო კუდიჩინი გაიჭიმა და მოიგერია.

„ჩელსის“ კონტრშეტევების უსუსური მცდელობა ჰქონდა. ხოლო დამხვდურები ლალად უტევდნენ და გოლის სუნიც დაატრიალეს ლონდონელთა კართან, მაგრამ ბედმა უმუხთლათ. გლენ ჯონსონი მარჯვენა ფლანგიდან კარის წინ მოხეტიალე კრესპოს აწვდიდა, პასი ფერნანდუ მეირამ ჩაჭრა და ბურთი ჰილდებრანდის კარში აღმოჩნდა.

გერმანელებს დაშლა-მოშლისა არაფერი დაეტყოთ, ისევ გულმოდგინედ შეუტიეს და გათანაბრებაც მალევე შეეძლოთ. მაისნერის თავით კარში გაგზავნილი ბურთი კუდიჩინიმ ვერა, მაგრამ უეინ ბრიჯმა კი ხაზიდან გამოიტანა. მასპინძელთა ნახევარსაათიანი იერიშების შემდეგ თამაშის ტემპი ოდნავ დაცხრა და ლონდონელებს ამ დროს მეორე გოლის გატანის კარგი შანსი მიეცათ. ერნან კრესპოს პასი ეიდურ გუდიონსენმა ვერ შეირგო.

შესვენებისას ფელიქს მაგათმა მაისნერი კრისტიან ტიფერტით შეცვალა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ მატჩებში ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა.

„შტუტგარტს“ შეხვედრის განახლებიდან რამდენიმე წუთი დასჭირდა საიმისოდ, რომ კვლავ ბეჯითად შეეტია. ფერნანდუ მეირას საჯარიმო დარტყმით შეცდომის გამოსწორება შეეძლო, თუმც მისი დარტყმული ბურთი ძელს გარედან მოეფერა.

მოგვიანებით კუდიჩინის რეაქცია ტიფერტმა შეამოწმა, მაგრამ იტალიელი იმ საღამოს ფეხზე მყარად იდგა.

65-ე წუთზე „ჩელსის“ ქომაგთათვის სასიხარულო ამბავი მოხდა — მოედანზე დემიენ დაფი შევიდა. ირლანდიელი დეკემბრიდან ტრავმირებული იყო და წლეულს მისი დებიუტი შედგა.

მოედანზე დაფის შესვლიდან ორიოდ წუთში მასპინძლებმა კიდევ ერთი ეპიზოდით ვერ ისარგებლეს. ფილიპ ლამმა ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმას პასი ამჯობინა და მომენტი ჩააფლავა.

ნამატჩევს ფელიქს მაგათმა თქვა: „მეირასთვის შენიშვნა არ მიმიცია. მან ყველაფერი სწორად გააკეთა, მაგრამ ბურთის სიმრგვალეს ვერაფერს მოვუხერხებთ. თამაშის შემდეგ ბიჭებს მშვიდად ვესაუბრე და ავუხსენი, რომ ეს მხოლოდ პირველი სერია იყო და გაგრძელება ლონდონში იქნება. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც: „ჩელსი“ სტუმრად კარგად თამაშობს, მაგრამ შინ რატომღაც უჭირს — „სტემფორდ ბრიჯი“ ჩვენი შანსია“.

**ვაჟა ხუციშვილი**



კარლო კუდიჩინიმ ფილიპ ლამსაც არ გაატანინა

# გაიყიდა!
## რუსულმა ნაფტა-მოსკოვმა რომა 400 მილიონად შეიძინა




*დღეს იტალიის დედაქალაქში ოფიციალურად გამოცხადდება, რომ ფეხბურთის ცნობილი კლუბი „რომა“ კომპანია „ნაფტა-მოსკვამ“ იყიდა. მილანური „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ „ნაფტა-მოსკვას“ წარმომადგენლებთან მიაღწია შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, რუსები 400 მილიონ ევროს (505,6 მილიონი დოლარი) სანაცვლოდ შეიქნებიან სერია A-ს 2001 წლის ჩემპიონის მფლობელები. საინტერესოა, რომ მილანის ბირჟაზე გუშინ „რომას“ აქციები არ გაუტანიათ — გათენდეს პარასკევი და მერეო.*



სულეიმან ქერიმოვი



ფრანკო სენსი

„მხოლოდ მცირე ტექნიკური დეტალებიღა დარჩა მოსაგვარებელი, — წერია „გაძეტაში“ — გარიგების მთავარი ნაწილი უკვე დასრულებულია“.

ამ კვირის დასაწყისში 77 წლის სენსიმ განაცხადა, რომ რუსებთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს და საქმეს ბოლომდე რომ მიიყვანს, საპატიო პრეზიდენტის თანამდებობასღა დასჯერდება. ასე და ამგვარად, ევროპის კონტინენტზე მეორე ბობოლა კლუბი გადადის რუსთა საკუთრებაში. პირველი, მოგეხსენებათ, გახლდათ ლონდონის „ჩელსი“, რომელიც ჩუკოტკის გუბერნატორმა, მილიარდერმა რომან აბრამოვიჩმა შეიძინა.

ეს გასულ ზაფხულს მოხდა, როდესაც აბრამოვიჩმა ლონდონს 100 მილიონი ინგლისური გირვანქა ანუ 198,4 მილიონი დოლარი ჩაიტანა და ერთმანეთზე უკეთესი ფეხბურთელების მთელი ლაშქარი იყიდა, რომელთა შორის იყვნენ თვით არგენტინელები ერნან კრესპო და ხუან სებასტიან ვერონი.

„კორიერე დელო სპორტის“ განცხადებით, სენსის მოლაპარაკებათა კვირამდე დასრულება სჭირდებოდა. ამის მიზეზი უეფას ლიცენზიის მისაღებად საჭირო საბუთების დათქმულ ვადებში წარდგენის სურვილი გახლდათ. ლაპარაკია იმ ლიცენზიაზე, რომელიც მომავალ სეზონში უეფას თასზე და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალებას იძლევა.

შეგახსენებთ, რომ შარშან „რომას“ ფინანსური კრიზისი ჰქონდა. სენსის ორგანიზაციას ვალი იმხელა დაუგროვდა, რომ ზაფხულზე ახალი ფეხბურთელების ყიდვაც კი აუკრძალეს. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, საუბარი იყო სადღაც 250 მილიონ ევროზე, რაც 316 მილიონ დოლარს უდრის.

ახლა იმას გეტყვით, რომ „რომა“ სულაც არ არის პირველი იტალიური კლუბი, რომელსაც უცხოელები დაეპატრონებიან. კერძოდ, დღეს სერია B-ში მოთამაშე „ვენეცია“ 1990-იანი წლების ბოლოს ბრიტანულმა კორპორაციამ ENIC-მა იყიდა, თუმცა „ვენეციაზე“ ცნობილი კლუბი რომ გაეყიდათ, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

და ბოლოს, მოდით, რამდენადაც შესაძლებელია, „ნაფტა-მოსკვას“ გავეცნოთ. ეს გახლავთ კორპორაცია, რომელიც 1931 წელს დაარსებული „სოიუზნეფტექსპორტის“ ბაზაზე შეიქმნა. უკვე თავად დაარსების თარიღი აღძრავს ძალიან ბევრ კითხვას ორგანიზაციის ისტორიასთან დაკავშირებით. ეჭვი არ არის, იგი უამრავი საინტერესო მოვლენის მომსწრე და მონაწილეა.

90-იან წლებში „ნაფტა-მოსკვა“ სრულიად რუსული საექსპორტო ნავთის მესამედით ვაჭრობდა. თუმცა შემდეგ მას „სურგუტნეფტგაზი“ გაეყარა და კომპანიამაც ვაჭრობას არაპროფილური პროექტების რეალიზაცია ამჯობინა.

სხვადასხვა წლებში „ნაფტა-მოსკვა“ აკონტროლებდა „ტრანსნეფტის“, კომბინატ „ნოსტას“, სადაზღვევო კომპანია „ინგოსსტრახისა“ და „ინგოსსტრახ-როსიას“, ავტობანკისა და ბანკ „ინგოსსტრახ-სოიუზის“ აქციათა მსხვილ პაკეტებს.

ზუსტად ვინ და რა, აბა, ჩვენ საიდან გეტყვით, მაგრამ ამბობენ, აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელები სახელიწიფო დუმის დეპუტატ სულეიმან ქერიმოვის „ახლობელი სტრუქტურები“ არიანო.

და ერთი საინტერესო ფაქტიც: ამ გარიგებას რომან აბრამოვიჩის სახელსაც უკავშირებენ.

**პაპუნა ძიძია**

# პროკურატურის ახალი სერია
## იტალიაში ფეხბურთის შემოწმება დაიწყო



რომის პროკურატურა იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ესტუმრა

**პროკურატურა** მხოლოდ საქართველოში როდი მძვინვარებს: იტალიის პროკურატურამ სერია A-სა და სერია B-ს ყველა კლუბის გაჩხრეკა ბრძანა, რათა ქვეყნის სპორტში არსებული გაყალბებების კვალს მიაგნოს. ამბობენ, რომ ფინანსური პოლიცია იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ოფისშიც ჩაჯდა და ესეც არ იკმარა, ქვეყნის ლიგასაც დაუწყო შემოწმება.

ლიგა გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც მთელ მსოფლიოში ასე ცნობილ სერია A-ს და სხვა ქვედა სერიების შეჯიბრებებს ატარებს.

უპირველეს ყოვლისა, რომის პროკურატურამ „იშიშვლა მახვილი“ და ერთბაშად ოთხ კლუბს ეწვია, რომელთაგან ერთი გახლავთ „რომა“, რომელიც შარშან ზაფხულს ყალბი საბანკო გარანტიით მანიპულირებაში ამხილეს.

შეგახსენებთ, რომ 2002 წელს გაკოტრდა ქვეყნის ერთ-ერთი კოლორიტული გუნდთაგანი, „ფიორენტინა“ და გაკოტრების გამო იგი სერია C2-ში ჩააქვეითეს.

დღეს ფინანსურ საქმეთა ექსპერტი გაზეთის, „ილ სოლე 24 ორეს“ ცნობით სერია A-ს ყველა კლუბს ერთად 948 მილიონი ევრო აქვს დაკარგული და თან გასულ სეზონში ბიუჯეტის 85 პროცენტი ხელფასებში მიუდიოდათ. ვალებმა 41 პროცენტს უწია და 2,5 მილიარდ ევროს გაუტოლდა.

პროკურატურის ეს გააქტიურება, ერთი შეხედვით, „ლაციოს“ წინა მეპატრონის, ფირმა „ჩირიოს“ გაკოტრებასა და მის ბუღალტერიაში აღმოჩენილ ცუღლუტობებთან არ არის დაკავშირებული, თუმცა ცხადია, გამომძიებლები შეისწავლიან, რა ფული მიედინებოდა „ჩირიოდან“ „ლაციოში“ და საერთოდაც, არ არის გამორიცხული, „ლაციოს“ ვარსკვლავთა ტრანსფერებზე ბევრი საინტერესო გამოაშკარავდეს.

ფინანსურმა პოლიციამ ოთხშაბათს „ლაციოს“ ყოფილი და დღეს „მილანის“ მცველი ალესანდრო ნესტა დაკითხა. ნესტა „ლაციოს“ კაპიტანი გახლდათ. ნესტამ განაცხადა, რომ მის გარშემო არაფერი არასდროს გაყალბებულა.

ნესტას გარდა გამომძიებლები ესაუბრნენ მის ყოფილ თანაგუნდელებს, დღეს იუვენტუსელ პაველ ნედვედს და ახლა „კიევოში“ მოთამაშე მეკარე ლუკა მარკეჯანის.

შეგახსენებთ, რომ „ჩირიოს“ მეპატრონე და „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი 11 თებერვალს დააპატიმრეს. გამოძიება მიადგა აგრეთვე ფეხბურთელთა სააგენტოებს, „გეა უორლდს“ და „გეა ატლეტიკს“.

**ბაბუნა ძიდია**

## ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

**ბრედა 1:1 გრონინგენი**
1:0 ჩ. ფეპერი (36), 1:1 დე ვიტე (45)

**ჰერენვენი 4:1 აიაქსი**
1:0 ვაირინენი (44), 2:0 კნოპერი (57), 3:0 ვაირინენი (73), 4:0 ჰაკანსონი (83), 4:1 პ. ჰანსონი (87ს.კ.)

**დენ ჰააგი 1:0 როდა**
1:0 ვან დერ გუნი (18)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 22 | 18 | 1 | 3 | 52:22 | 55 |
| პსვ | 22 | 15 | 4 | 3 | 58:19 | 49 |
| ალკმაარი | 22 | 13 | 3 | 6 | 43:22 | 42 |
| ფეიენოორდი | 22 | 11 | 6 | 5 | 40:31 | 39 |
| ჰერენვენი | 22 | 11 | 4 | 7 | 32:27 | 37 |
| როდა | 22 | 9 | 7 | 6 | 37:25 | 34 |
| ტილბურგი | 22 | 9 | 7 | 6 | 33:31 | 34 |
| ტვენტე | 22 | 10 | 2 | 10 | 38:35 | 32 |
| ბრედა | 22 | 8 | 6 | 8 | 36:33 | 30 |
| როზენდალი | 22 | 8 | 6 | 8 | 25:28 | 30 |
| ვალვაიკი | 22 | 7 | 6 | 9 | 30:27 | 27 |
| უტრეხტი | 22 | 7 | 6 | 9 | 27:31 | 27 |
| გრონინგენი | 22 | 7 | 6 | 9 | 28:33 | 27 |
| ნაიმეგენი | 22 | 8 | 1 | 13 | 27:35 | 25 |
| დენ ჰააგი | 22 | 5 | 5 | 12 | 19:43 | 20 |
| ვოლენდამი | 22 | 4 | 4 | 14 | 20:57 | 16 |
| ვიტესი | 22 | 2 | 9 | 11 | 25:38 | 15 |
| ზვოლე | 22 | 2 | 5 | 15 | 13:46 | 11 |

## მექსიკა

**კლაუსურა. VII ტური**

ტოლუკა — ირაპუატო 1:1; ხაგუარესი — კრუზ ასული 2:1; სანტოს ლაგუნა — ტეკოსი 2:1; ატლანტე — ვერაკრუსი 3:3; კერეტარო — ნეკაქსა 1:1; პაჩუკა — უნამი 0:3; მორელია — პუებლა 1:0; სან ლუისი — მონტერეი 1:1; ტიგრესი — გვადალახარა 4:2. ატლასი — ამერიკა წუხელ გვიან დამთავრდა

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

**ნოტინგემი 0:0 ჯილინგემი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 32 | 18 | 9 | 5 | 50:27 | 63 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 17 | 9 | 6 | 46:29 | 60 |
| უიგანი | 32 | 14 | 12 | 6 | 45:32 | 54 |
| შეფილდი | 32 | 15 | 7 | 10 | 47:38 | 52 |
| იფსვიჩი | 32 | 14 | 8 | 10 | 60:52 | 50 |
| მილუოლი | 32 | 13 | 11 | 8 | 38:31 | 50 |
| ვესტ ჰემი | 31 | 12 | 13 | 6 | 44:31 | 49 |
| რედინგი | 32 | 14 | 7 | 11 | 39:42 | 49 |
| სანდერლენდი | 30 | 13 | 9 | 8 | 38:30 | 48 |
| კრ. პალასი | 33 | 13 | 8 | 12 | 52:48 | 47 |
| კარდიფი | 32 | 12 | 10 | 10 | 53:41 | 46 |
| პრესტონი | 31 | 13 | 7 | 11 | 47:39 | 46 |
| სტოკი | 32 | 12 | 8 | 12 | 44:45 | 44 |
| ქოვენთრი | 32 | 10 | 13 | 9 | 41:36 | 43 |
| ქრიუ | 32 | 11 | 7 | 14 | 40:44 | 40 |
| ბარნსლი | 32 | 9 | 11 | 12 | 45:52 | 38 |
| როტერჰემი | 32 | 9 | 11 | 12 | 38:45 | 38 |
| უოლსოლი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:43 | 37 |
| უოტფორდი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:44 | 37 |
| ჯილინგემი | 31 | 10 | 7 | 14 | 33:44 | 37 |
| დერბი | 32 | 8 | 10 | 14 | 35:52 | 34 |
| ნოტინგემი | 32 | 7 | 11 | 14 | 38:42 | 32 |
| ბრედფორდი | 33 | 7 | 5 | 21 | 26:49 | 26 |
| უიმბლდონი | 31 | 5 | 3 | 23 | 28:61 | 18 |

**ასოციაციის თასი**
**1/8 ფინალი**
**გადათამაშება**

**ბირმინგემი 0:2დ.დ.(0:0) სანდერლენდი**
0:1, 0:2 ტ. სმიტი (99, 115)

**1/4 ფინალის წილისყრა**

*6 მარტი: პორტსმუთი — არსენალი; მანჩესტერ იუნაიტედი — ფულემი*
*7 მარტი: მილუოლი — ტრანმერი; სანდერლენდი — შეფილდ იუნაიტედი*

# სამში ნაღდი ჰოდლია

**ზღვისპირა** ქალაქ საუთჰემპტონში საქმე ისეა, რომ იქაური კლუბის ახალ მენეჯერს დღე-დღეზე დაასახელებენ. ამ უქმეებზე „საუთჰემპტონი“ „ბლექბერნს“ ეთამაშება და როგორც თავმჯდომარე რუპერტ ლოუ ამბობს, ამ თამაშზე კლუბს გორდონ სტრაჩანის შემცვლელი გაუძღვება.



საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გლენ ჰოდლი „საუთჰემპტონს“ დაუბრუნდება

თანამდებობის ფავორიტი გლენ ჰოდლია, იმის მიუხედავად, რომ გულშემატკივრები სამი წლისწინანდელ გაქცევას არ პატიობენ.

ასევე ლაპარაკია „მარსელის“ ყოფილ მწვრთნელ ალენ პერენზე და „ლიდსის“ ასისტენტ კევინ ბლექველზე. ბლექველის კანდიდატურამ ბოლო დღეებში მოიკრიბა ძალა. ადრე ის „შეფილდ იუნაიტედის“ მწვრთნელის ასისტენტი იყო, სახელი კი „ელანდ როუდზე“ გაიკეთა. მისი ნაკლი ის არის, რომ მენეჯერი არასოდეს ყოფილა. ხოლო პერენმა ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა „მარსელი“, თუმცა, სეზონის დასაწყისში მოხსნეს.

ამ სამთაგან ყველაზე ხშირი ლაპარაკი ლოუს ჰოდლთან ჰქონდა და ალბათ, სწორედ ჰოდლი დაიჭერს თანამდებობას. თუმცა, გადაწყვეტით მაინც ვერავინ ამბობს, რომ ის უკვე მენეჯერია.

**ირაკლი გამყრელიძე**

## Copa Toyota Libertadores '2004

**ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი**

**II ჯგუფი. II ტური**

**ფენიქსი (ურუგვაი) 2:1 ველეს სარსფილდი (არგენტინა)**
0:1 ბიანკი (16), 1:1 ხულიო როდრიგესი (54), 2:1 ხ. კარინი (88)

**მარაკაიბო (ვენესუელა) 1:2 ონსე კალდასი (კოლუმბია)**
0:1 ფაბრო (3), 1:1 კ. კასერესი (45), 1:2 გალვანი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ონსე კალდასი (კოლუმბია) | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ფენიქსი (ურუგვაი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| მარაკაიბო (ვენესუელა) | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ველეს სარსფილდი (არგენტინა) | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

**IV ჯგუფი. II ტური**

**დეპორტივა უნივერსიტარია (ეკვადორი) 3:0 ალიანსა (პერუ)**
1:0 ხ. პარედესი (66), 2:0 ვილაგრა (87), 3:0 მურილიო (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივა უნივერსიტარია (ეკვადორი) | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| სან პაულუ (ბრაზილია) | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| კობრელოა (ჩილე) | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ალიანსა (პერუ) | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

**VI ჯგუფი. II ტური**

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 4:1 ლიბერტადი (პარაგვაი)**
1:0 კუდეტი (27), 2:0 კავენაგი (43), 2:1 მორინიგო (64), 3:1 კუდეტი (75), 4:1 ლ. გონსალესი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| დეპორტეს ტოლიმა (კოლუმბია) | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ლიბერტადი (პარაგვაი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

# ტოტი ბექემზე გაივლის?
## სინგხ ფიქჩერზი წარმოგიდგენთ



**სარეკლამო** რგოლებში ფეხბურთელთა სიფათები ძალიან მომრავლდა. მოცალეობის ჟამს სახელოვანი ბიჭები კამერის წინ გამოიჭიმებიან და რამდენიმე წამში ერთ-ორ მილიონს იჯიბავენ. „პეპსის“ შარშანდელ რეკლამაში დევიდ ბექემი, რობერტო კარლოსი და იკერ კასილიასი მონაწილეობდნენ. მოქმედება ველურ დასავლეთში ხდებოდა და ნაღდად თვალსასეირო რგოლი გამოვიდა, რომელიც რეჟისორმა ტარსენ სინგხმა გადაიღო.

იგი ამჯერად ახალ პროექტს ამზადებს. „პეპსის“ გუნდში კვლავ იქნებიან დევიდ ბექემი და რობერტო კარლოსი, მათთან ერთად კი რონალდინიო და ფრანჩესკო ტოტი წაიმსახიობებენ.

ახალ სარეკლამო რგოლს გლადიატორების საბრძოლო მოედანზე იღებენ. ოთხეული უიარაღოდ, ბურთებით „იომებს“. ბექემმა თქვა, რომ გლადიატორის სამოსი ძალიან მოეწონა. ამ რგოლის შექმნა 7 მილიონ 500 ათასი ევრო დაჯდება, თუმც კი საინტერესო სულ სხვა რამაა: როცა დევიდ ბექემი შარშან გადაღებაზე დაპატიჟეს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე იყო, მერე კი „სამეფო კლუბში“ აღმოჩნდა. ახლა ფრანჩესკო ტოტი მიიწვიეს, რომლის გვარსახელსაც მადრიდის „რეალთან“ ერთად ხშირად მოიხსენიებენ.

**გაჟა ხუციშვილი**

# დავით ყიფიანის თასი

## მეთექვსმეტედფინალი
## პირველი მატჩები. ანონსი

ლაგოდეხი. 27 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური

**მცხეთა** მცხეთა — **სკ თბილისი** თბილისი

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); მ. ბეჟქლიშვილი (ყვარელი), ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ურუშაძე

თბილისი. 27 თებერვალი. 14 საათი. ამერის საფეხბურთო სკოლა

**ამერი** თბილისი — **ურიონი** თბილისი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. თოდრია (თბილისი), ზ. ფიფია (გალი); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. 27 თებერვალი. 14 საათი. ეროვნული

**დინამო** თბილისი — **ვიტ ჯორჯია** მცხეთა

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი), ხ. გაგნიძე (გორი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

გორი. 27 თებერვალი. 14 საათი. ქართლი

**ცხინვალი** ცხინვალი — **ჰერეთი** ლაგოდეხი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი), დ. კურტანიძე; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

თბილისი. 27 თებერვალი. 14 საათი. ლოკომოტივი

**ლოკომოტივი** თბილისი — **გორდა** რუსთავი

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ლ. სილაგავა; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ოზურგეთი. 27 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური

**მერცხალი** ოზურგეთი — **მეტალურგი** ზესტაფონი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; გ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი), თ. ხუჭუა (სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. თევზაძე

ქუთაისი. 27 თებერვალი. 14 საათი. ტორპედო

**ტორპედო** ქუთაისი — **გურია** ლანჩხუთი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ე. ნარმანია (ტყვარჩელი), კ. ბერაძე (სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: მ. გვანცელაძე

ვეგუთი. 27 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური

**სამგურალი** წყალტუბო — **ლუკა** ბათუმი

მსაჯები: გ. ასკაროვლი (ქარელი); დ. კვეტენაძე (ზესტაფონი), კ. ტეფნაძე (ჭიათურა); დ. გოგოლაძე (ბორჯომი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. აფრიდონიძე

გრიგოლეთი. 28 თებერვალი. 14 საათი. საწვრთნელი ბაზა

**კოლხეთი** ფოთი — **დინამო** ქუთაისი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ერქვანია; ბ. ცირდავა (ორივე ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. გოგია

რუსთავი. 28 თებერვალი. 14 საათი. ფოლადი

**სიონი** ბოლნისი — **ივერია** ხაშური

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ასკაროვლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

სამტრედია. 28 თებერვალი. 14 საათი. ეროსი მანჯგალაძე

**ქობულეთი** ქობულეთი — **ლოკომოტივი** სამტრედია

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ა. გუნთაძე, მ. ნაკაიძე (ორივე ლანჩხუთი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. დიდმანიძე

თბილისი. 28 თებერვალი. 14 საათი. ისანი

**თბილისი** თბილისი — **მილანი** წნორი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. 28 თებერვალი. 14 საათი. ოლიმპიკი

**სპარტაკი** თბილისი — **პრემა** თბილისი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, გ. ვადაჭკორია (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

თბილისი. 28 თებერვალი. 14 საათი. ლოკომოტივი სათადარიგო მოედანი

**ვიტ ჯორჯია** თბილისი — **ჩიხურა** საჩხერე

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე; მ. მალალურაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თბილისი. 28 თებერვალი. 14 საათი. ოლიმპი

**დილა** გორი — **ავაზა** თბილისი

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე, დ. ხარიტონაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ელოშვილი

ბათუმი. 28 თებერვალი. 14 საათი. დინამო

**დინამო** ბათუმი — **დინამო** ზუგდიდი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია

# ის დაბრუნდა!

## გოლის ფართხალი, გულის ფანცქალი

დაგვიბრუნდა! გამოძინებული და მონატრებული ქართული ფეხბურთი ზამთარ-გაზაფხულის მიჯნაზე შეინძრა. დღეს ქართული გუნდები წლეულს პირველად გააგორებენ ბურთს და სიცივედაკრულ მოედნებს გამოაცოცხლებენ.

ფეხბურთი და გაზაფხული ერთად მოდის საქართველოში. დღეს და ხვალ, ზამთრის მიწურულს, ქართული ფეხბურთი დავით ყიფიანის თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩებით ილვიძებს.

ქართული ფეხბურთის სამი შრის, რეგიონული, პირველი და უმაღლესი ლიგების გუნდები ორმატჩიანი დუელით გაარკვევენ მერვედფინალისტებს.

ვინ რისი მაქნისია და ვინ როგორ მოემზადა, სწორედ ახლა გამოჩნდება. შანსი, ცხადია, უმაღლესლიგელებს უფრო აქვთ, თუმც სხვებს დამატებითი სტიმული ამოძრავებთ — ქართული ფეხბურთის ბობოლებში და ხალხში გარევა...

მეთექვსმეტედფინალური წყვილებიდან გამოსარჩევი რამდენიმეა: „დინამო“ (თბილისი) — „ვიტ ჯორჯია-მცხეთა“, „ლოკომოტივი“ — „გორდა“ და „ვიტ ჯორჯია“ — „ჩიხურა“. თუმცა ამ მატჩებიდან ინტრიგის ნაცვლად უმაღლესლიგელი გუნდების მდგომარეობა უფროა საინტერესო. აბა, „დინამო“, „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“ რომ ფავორიტები არიან, რა სადავოა?!

ერთი სიტყვით, „დინამო“ და ბრაზილიელი ახალწვეული ჰომერო, მერამდენედ გადახალისებულ-აწყობილი „ლოკომოტივი“, ჩემპიონატის მუდმივი ფავორიტი „ვიტ ჯორჯია“... ამათ დავუმატოთ ამბიციამომატებული „თბილისი“, ევროპისკენ მომზირალი „სიონი“, თურქმენეთში დაჩაგრული „ტორპედო“ და სამეთექვსმეტედფინალოდ ყველაზე საინტერესო სანახავთა კრებულსაც მივიღებთ.

თასის სპეციფიკიდან გამომდინარე, პირველ ლიგაშიც შევიხედოთ. საგაზაფხულო ეტაპი ხომ ნაწილობრივ პირველი ლიგის გათამაშებითაცაა საინტერესო — რამდენიმე თვეც და იქიდან უმაღლესში მოსაწყობი კლუბები გამოჩნდებიან. „ქობულეთი“, „ამერი“, „სამგურალი“, „გორდა“... ამათგან ზოგი ალბათ უმაღლესს უმიზნებს, ზოგიც თასზე წარმატებას. ასე რომ, მთავარი ჯახები ჯერაც გველის. ამათგან სათასოდ ყველაზე მეტად „გორდას“ არ გაუმართლა — მეტოქედ ზაურ სვანაძის „ლოკომოტივი“ ჰყავს. „ქობულეთს“, „ამერს“ და „სამგურალს“ კი, შესაბამისად, „სამტრედიის“, „ურიონის“ და „ლუკას“ გავლა არ უნდა გაუჭირდეთ.

ასე რომ, შეიარეთ სტადიონზე და უქომაგეთ ქართულ ფეხბურთს, რომელსაც თქვენი შეძახილები და ჩვენი წახალისებაც ასულდგმულებს...

დღეს ფეხბურთია...

**კახა შალამბერიძე**



[illegible] ფოტო


ფეხბურთი

ამერის საფეხბურთო სკოლა

საქართველოს თასი

27 თებერვალი

1/16ფინალი. პირველი მატჩი

ამერი — ურიონი

თბილისი თბილისი

დასაწყისი 14 საათზე

მის: თიანეთის გზატკეცილი 25

(გლდანულას გადასახვევთან)




# ამისულაშვილის შენაური 15 წუთი

**კიევის „დინამომ“** ესპანურ ლა მანგაში მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. კიეველთა მეტოქე ესპანეთის მეორე დივიზიონის ბინადარი „მურსია“ იყო და შეხვედრა 1:1 დამთავრდა.

ალეკო ამისულაშვილი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო და მე-60 წუთისთვის მას მოედანი დაატოვებინეს. 15 წუთში ორი ყვითელი ბარათი — ასეთი რამ ამისულაშვილის კარიერაში აქამდე არ მომხდარა და ჩვენც ვითარებაში გასარკვევად ალეკოს შევეხმიანეთ.

— პირველი ყვითელი ბარათი სულ ტყუილად მომცეს, მეტოქეს არც გავკარებივარ, მეორედ კი მართლაც ვიმსახურებდი. წითელი რომ დავინახე, კინაღამ გავგიჟდი, მაინც, ხომ იცი, ახალი ფეხბურთელი ვარ და სხვანაირად გიყურებენ. მით უმეტეს, რომ ჩემი გაძევების მერე გაათანაბრეს ანგარიში.

— მიხაილიჩენკოს ხომ არ უსაყვედურია?

— არა. არაფერი უთქვამს. ფეხბურთია, ყველაფერი ხდება, მაგრამ მზადების ბოლო ეტაპზე წითელი ბარათის მიღება მაინც არასასიამოვნოა. საერთოდ, მსაჯი პატარა კონტაქტზეც კი გაფრთხილებას იძლეოდა. თამაშის მიწურულს კიდევ ერთი ჩვენიანი და ესპანელი ფეხბურთელიც გააძევეს. მთლიანობაში ძნელი თამაში გამოვიდა, ჩვენთვის მესამე მოსამზადებელი ეტაპია და ბიჭები უკვე საკმაოდ დაღლილებიც არიან.

— მომდევნო თამაში როდის გაქვთ?

— 28 თებერვალს „ლა მანგას თასის“ გათამაშებაში ამერიკულ „დალასს“ ვეთამაშებით. 1 მარტს შეიძლება 12 საათზე კიდევ ერთი ამხანაგურიც ვითამაშოთ და საღამოს კიევისკენ გავემგზავრებით.

**დავით ერაძე**

ამერელები ვულოცავთ ჩვენს ბომბარდირს მამუკა რუსიას პირველი ვაჟის შეძენას. პატარა ვალერი სასიქადულო ვაჟკაცი გაზრდილიყოს!

## დიმიტრი რამიშვილი:

# პროფლიგური შანსი ყველასია

*დღეს თასის მეთექვსმეტედფინალით საქართველოში საფეხბურთო სეზონი განახლდება. გუშინწინ კი პროფესიული საფეხბურთო ლიგის ყრილობა გაიმართა და სერიოზული სიახლეებიც დაინერგა. ერთი სიტყვით, ახლა იერშეცვლილ ეროვნულ ჩემპიონატს და თასის გათამაშებას ველით და იმედია, არ გავწბილდებით.*

*გუშინ პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს სწორედ ცვლილებებსა და პერსპექტივებზეც ვესაუბრეთ*



პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი (მარცხნივ) და მისი გუნდი

— მოხარული ვარ, რომ პროფლიგამ, როგორც იდეამ და საქმიანმა ორგანიზაციამ, თავისი სახე მიიღო — ყრილობაზე ერთსულოვნება იყო და კლუბებიც ძალიან მოწადინებულნი იყვნენ სერიოზული ცვლილებებისთვის. ამით ეროვნულ ჩემპიონატთან და თასის გათამაშებასთან დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვლება — ეს ტურნირები სხვანაირად, უფრო მაღალ დონეზე ჩატარდება. ამის ერთ-ერთი საწინდარი ისაა, რომ მსაჯები დაცულნი, ხელშეუხებლები იქნებიან. ეს პრობლემა დიდი ხანი ჭამდა ქართულ ფეხბურთს და ის ნელ-ნელა აღმოიფხვრება. ყრილობის მიერ მიღებულ ცვლილებებზე კლუბებთან თითქმის ექვსი თვე ვმუშაობდით. მიზანი ერთია — გულშემატკივარი სტადიონზე დავაბრუნოთ.

**— ცვლილებები ძირითადად მსაჯობის თემას შეეხო, მაგრამ რა ვუყოთ ჩაწყობილ თამაშებს? ამაზე ჯერ არაფერი თქმულა...**

— ყველა კლუბის სურვილია, ამ პრობლემას ეშველოს. საამისოდ ჩამოყალიბდება სპეციალური კომიტეტი. მოგეხსენებათ, ძნელია, დაამტკიცო, რომ მატჩი ჩაწყობილი იყო, მაგრამ ეს კომიტეტი მხოლოდ მსაჯის და ინსპექტორის პატაკით არ იხელმძღვანელებს. შესაძლოა, კომიტეტში ჟურნალისტები და ფეხბურთის სპეციალისტებიც შევიდნენ. ამ კომიტეტის თაობაზე ერთ კვირაში უკვე სათანადოდ ჩამოვყალიბდებით.

**— პროფლიგა აპირებს, რომ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი გაიყოს, მაგრამ ეს კომიტეტი ჯერაც ფეხბურთის ფედერაციის დაქვემდებარებაშია და ხელფასებსაც იქიდან იღებს...**

— ამ კომიტეტის გაყოფასთან დაკავშირებით ფედერაციის აღმასოკმს მივმართეთ და თუ აღმასკომიდან თანხმობას მივიღებთ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ყველაფერი უფრო გამჭვირვალე გახდება. გვსურს, რომ ეს საკითხი ახლავე გადაიჭრას, მომდევნო სეზონისთვის კი მსაჯებთან და ინსპექტორებთან ინდივიდუალურ კონტრაქტებს გავაფორმებთ. რაც შეეხება ხელფასებს, მსაჯ-ინსპექტორები მათ ახლა კლუბებიდან შემოსული შენატანიდან იღებენ.

**— თბილისის „დინამოს“ პროფლიგაში გაწევრიანება რატომ ჭიანურდება?**

— ჩვენ ერთიან ოჯახს ვქმნით და მასში ყველა კლუბი უნდა გაწევრიანდეს. მომდევნო სეზონში უკვე აუცილებელი იქნება ყველა იმ გუნდის პროფლიგაში გაწევრიანება, ვინც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობს. „დინამოსი“ კი მადლობელი ვართ, რადგან ეს კლუბი სერიოზულადაა ჩართული ჩვენთან მუშაობაში, რაც „დინამოს“ პროფლიგაში გაწევრიანების საწინდარია.

**— ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ ის პირად კონტროლზე აიყვანს ქართულ ფეხბურთს — უკვე ცხადია, რომ ეროვნული ნაკრებისთვის მწვრთნელის დანიშვნის საკითხით მთავრობა სერიოზულადაა დაინტერესებული. პროფლიგისა და მთავრობის თანამშრომლობა თუ შედგება?**

— რა თქმა უნდა, ფეხბურთის პირად კონტროლზე აყვანა მხოლოდ ეროვნულ ნაკრებს არ მოიცავს. ამ დღეებში აუცილებლად შევხვდები კულტურისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილს.

**— კონკრეტულად რით შეუძლია ხელისუფლებას პროფლიგის დახმარება?**

— ძალიან ბევრი რამით, თუნდაც სასურველი კანონების მიღებით, რაც დაგვეხმარება ბიზნესის, მარკეტინგის სფეროში. მოგეხსენებათ, ლუდის რეკლამირება სპორტში ჩვენში რატომღაც აკრძალულია. ხელისუფლებას ისიც შეუძლია, რომ ფეხბურთში მოსაქმე ინვესტორებსა და სპონსორებს შეღავათები დაუწესოს.

**— სიგარეტის რეკლამას ფეხბურთში დაუშვებლად თვლით?**

— ევროპაში ეს მიუღებელია და ამას არც ჩვენ ვითხოვთ — სიგარეტი მავნე პროდუქტია.

**— პროფლიგა რადიკალურ საკადრო ცვლილებებსაც აპირებს? ამბობენ, სამსაჯო კომიტეტის უფროსი ველოდი მიმინოშვილი გახდებაო...**

— ჩვენ ჯერ ყველას მივცემთ შანსს, რათა თავიანთი საქმე პირნათლად აკეთონ.

**— პროფლიგის სპონსორებთან თუ იგეგმება ახალი ხელშეკრულებების დადება? დამატებითი ინვესტიციების მიღების შანსი რამდენად რეალურია?**

— ჩვენი გენერალური სპონსორი „კოკა კოლა“ მომდევნო სეზონში ინვესტიციას გააორმაგებს, მერე კი 30-30 პროცენტით გაზრდის — ამ კომპანიასთან რვაწლიანი კონტრაქტი გვაკავშირებს. თუ ეროვნული ჩემპიონატი უფრო საინტერესო გახდება, ჩვენი სხვა პარტნიორებიც გაზრდიან ინვესტიციებს. მოკლედ, პროფლიგის ახლანდელი ტემპით კმაყოფილები ვართ და ასეთი ტემპით სამ წელიწადში უკვე სერიოზულ შედეგებს მივიღებთ. ძალიან სასიხარულოა, რომ „დინამომ“ თანამეგობრობის თასი მოიგო, ხოლო „ტორპედო“ თურქმენეთში „პრეზიდენტის თასის“ ფინალში გავიდა — ჩვენი კლუბების ნებისმიერი წარმატება ხომ ჩვენი წარმატებაცაა — ერთიანობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენი, ჟურნალისტების დიდი იმედიც გვაქვს.

**— სეზონის ბოლოს წარმატებული გუნდების დაჯილდოება სათანადო დონეზე მოხდება?**

— ასე იქნება და საკმაოდ ბევრი საპრიზო ნომინაციაც დავაწესეთ — პრიზები საუკეთესო ჟურნალისტებსაც გადაეცემათ. ერთი სიტყვით, ქართულ ფეხბურთს ახლა ძალიან სჭირდება ერთიანობა.

| ლეიკერსი | 1,8 |
| საკრამენტო | 3,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| მინესოტა | 7,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| დეტროიტი | 15,0 |
| ნიუ ჯერსი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 30,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ფილადელფია | 60,0 |
| ბოსტონი | 60,0 |
| დენვერი | 60,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| ტორონტო | 60,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| იუტა | 100,0 |
| პორტლენდი | 100,0 |
| სიეტლი | 100,0 |
| მემფისი | 100,0 |
| გოლდენ სტ. | 150,0 |
| კლიპერსი | 150,0 |
| ფინიქსი | 200,0 |
| მაიამი | 200,0 |
| კლივლენდი | 200,0 |
| ორლანდო | 300,0 |
| ატლანტა | 300,0 |
| ვაშინგტონი | 300,0 |
| ჩიკაგო | 300,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5309 | არსენალი-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5311 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5312 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5313 | ფულჰემი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5315 | სიტი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5316 | ლიდსი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5317 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5318 | შტუტგარტი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 5319 | ბოხუმი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 5320 | კიოლნი-მიუნხენი | 1,6 | 2,0 |
| 5321 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5322 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1,6 | 2,0 |
| 5323 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,6 | 2,0 |
| 5324 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5326 | ჰანოვერი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5327 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 2,0 |
| 5328 | სიენა-რეჯინა | 1,65 | 1,95 |
| 5329 | ემპოლი-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ლეჩე-მოდენა | 1,65 | 1,95 |
| 5331 | პარმა-რომა | 1,65 | 1,95 |
| 5332 | იუვენტუსი-ანკონა | 2,0 | 1,6 |
| 5334 | პერუჯა-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ინტერი-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5337 | სამპდორია-კიევო | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ლაციო-მილანი | 1,6 | 2,0 |
| 5339 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5340 | ბეტისი-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5341 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 5342 | მურსია-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5343 | მალაგა-რასინგი | 1,6 | 2,0 |
| 5344 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5345 | ვილიარეალი-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5346 | ესპანიოლი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5347 | რეალი-სელტა | 1,75 | 1,85 |
| 5349 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5509 | არსენალი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ევერტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ფულჰემი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | სიტი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ლიდსი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | შტუტგარტი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბოხუმი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | კიოლნი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ვერდერი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ჰანოვერი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | სიენა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ემპოლი-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ლეჩე-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | პარმა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | იუვენტუსი-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | პერუჯა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ინტერი-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | სამპდორია-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ლაციო-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | მალიორკა-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | ბეტისი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | სოსიედადი-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | მურსია-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | მალაგა-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ვილიარეალი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ესპანიოლი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | რეალი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | დეპორტივო-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5209 | არსენალი-ჩარლტონი | 2,1 | 1,55 |
| 5211 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5212 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 5213 | ფულჰემი-მანჩესტერი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 5215 | სიტი-ჩელსი | [illegible] | 1,7 |
| 5216 | ლიდსი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 5217 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 5218 | შტუტგარტი-შალკე | 1,8 | 1,8 |
| 5219 | ბოხუმი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 5220 | კიოლნი-მიუნხენი | 1,85 | 1,75 |
| 5221 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,95 | 1,65 |
| 5222 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1,85 | 1,75 |
| 5223 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,95 | 1,65 |
| 5224 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 2,1 | 1,55 |
| 5226 | ჰანოვერი-ჰერტა | 2,1 | 1,55 |
| 5227 | ფრაიბურგი-ლაუტერნი | 2,0 | 1,6 |
| 5228 | სიენა-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 5229 | ემპოლი-უდინეზე | 1,75 | 1,85 |
| 5230 | ლეჩე-მოდენა | 1,75 | 1,85 |
| 5231 | პარმა-რომა | 1,85 | 1,75 |
| 5232 | იუვენტუსი-ანკონა | 2,1 | 1,5 |
| 5234 | პერუჯა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 5235 | ინტერი-ბრეშა | 1,95 | 1,65 |
| 5237 | სამპდორია-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 5238 | ლაციო-მილანი | 1,85 | 1,75 |
| 5239 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 5240 | ბეტისი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5241 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,85 | 1,75 |
| 5242 | მურსია-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 5243 | მალაგა-რასინგი | 1,85 | 1,75 |
| 5244 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 5245 | ვილიარეალი-ბილბაო | 1,75 | 1,85 |
| 5246 | ესპანიოლი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 5247 | რეალი-სელტა | 2,2 | 1,5 |
| 5249 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,85 | 1,75 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5409 | არსენალი-ჩარლტონი | 1,2 | 4,0 |
| 5411 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 1,8 | 2,0 |
| 5412 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 2,0 |
| 5413 | ფულჰემი-მანჩესტერი | 2,5 | 1,55 |
| 5414 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 2,1 |
| 5415 | სიტი-ჩელსი | 2,2 | 1,7 |
| 5416 | ლიდსი-ლივერპული | 2,0 | 1,8 |
| 5417 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1,95 | 1,85 |
| 5418 | შტუტგარტი-შალკე | 1,75 | 2,1 |
| 5419 | ბოხუმი-ჰანზა | 1,55 | 2,5 |
| 5420 | კიოლნი-მიუნხენი | 1,8 | 2,0 |
| 5421 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,8 | 2,0 |
| 5422 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1,8 | 2,0 |
| 5423 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,7 | 2,2 |
| 5424 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,25 | 3,6 |
| 5426 | ჰანოვერი-ჰერტა | 1,8 | 2,0 |
| 5427 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,75 | 2,1 |
| 5428 | სიენა-რეჯინა | 1,7 | 2,2 |
| 5429 | ემპოლი-უდინეზე | 1,95 | 1,85 |
| 5430 | ლეჩე-მოდენა | 1,65 | 2,3 |
| 5431 | პარმა-რომა | 2,1 | 1,75 |
| 5432 | იუვენტუსი-ანკონა | 1,05 | 6,5 |
| 5434 | პერუჯა-ბოლონია | 1,85 | 1,95 |
| 5435 | ინტერი-ბრეშა | 1,3 | 3,4 |
| 5437 | სამპდორია-კიევო | 1,7 | 2,2 |
| 5438 | ლაციო-მილანი | 1,9 | 1,9 |
| 5439 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 5440 | ბეტისი-სევილია | 1,8 | 2,0 |
| 5441 | სოსიედადი-ალბასეტე | 1,4 | 3,0 |
| 5442 | მურსია-ოსასუნა | 1,9 | 1,9 |
| 5443 | მალაგა-რასინგი | 1,75 | 2,1 |
| 5444 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 1,75 | 2,1 |
| 5445 | ვილიარეალი-ბილბაო | 1,85 | 1,95 |
| 5446 | ესპანიოლი-ვალენსია | 2,4 | 1,6 |
| 5447 | რეალი-სელტა | 1,25 | 3,7 |
| 5449 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,75 | 2,1 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.02 | 18.30 | 6001 | გერმანია ბლ (XXII) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 21.00 | 6002 | იტალია A (XXIII) | 23 და ნაკლები – 1,9 | 25 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 22.30 | 6003 | ესპანეთი Iდ (XXVI) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 28.02 | 20.15 | 6004 | საფრანგეთი Iდ (XXVI) | 21 და ნაკლები – 1,9 | 23 და მეტი – 1,9 |
| 27.02 | 01.30 | 6005 | პორტუგალია სლ (XXIV) | 22 და ნაკლები – 1,9 | 24 და მეტი – 1,9 |
| 27.02 | 23.00 | 6006 | ჰოლანდია Iდ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |
| 27.02 | 23.30 | 6007 | ბელგია Iდ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9 | 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5109 | არსენალი-ჩარლტონი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5111 | ბლექბერნი-საუთჰემპტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5112 | ევერტონი-ასტონ ვილა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5113 | ფულჰემი-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 5114 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5115 | სიტი-ჩელსი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5116 | ლიდსი-ლივერპული | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5117 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5118 | შტუტგარტი-შალკე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5119 | ბოხუმი-ჰანზა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5120 | კიოლნი-მიუნხენი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5121 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5122 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5123 | ვერდერი-დორტმუნდი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5124 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 5126 | ჰანოვერი-ჰერტა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5127 | ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5128 | სიენა-რეჯინა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5129 | ემპოლი-უდინეზე | 4,0 | 10, | 020,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5130 | ლეჩე-მოდენა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5131 | პარმა-რომა | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5132 | იუვენტუსი-ანკონა | 1,15 | 25,0 | 60,0 | 3,6 | 8,5 | 30,0 | 30,0 | 25,0 | 30,0 |
| 5134 | პერუჯა-ბოლონია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5135 | ინტერი-ბრეშა | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5137 | სამპდორია-კიევო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5138 | ლაციო-მილანი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5139 | მალიორკა-ატლეტიკო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5140 | ბეტისი-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5141 | სოსიედადი-ალბასეტე | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5142 | მურსია-ოსასუნა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5143 | მალაგა-რასინგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5144 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5145 | ვილიარეალი-ბილბაო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5146 | ესპანიოლი-ვალენსია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5147 | რეალი-სელტა | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5149 | დეპორტივო-ბარსელონა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |

# დაწყებამდე საქმის კეთება ვისწავლოთ

## ირაკლი აბუსერიძეც უცხოელს გვირჩევს

*როდესაც რუსეთთან მატჩი კარსაა მომდგარი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს ისღა დარჩენიათ ნაცადი მეომრების იმედად იყვნენ. გამოცდილების დაბრუნების აუცილებლობას არც მწვრთნელთა ოთხეული უარყოფს, რაკი მინისტრათა კაბინეტზე უფრო გაახალგაზრდავებულმა „ლელოებმა“ პორტუგალიასთან და ესპანეთთან ოდენ ქულის შოვნა მოახერხეს. ძველ გვარდიაში, ცხადია, არ ვგულისხმობთ ნაკრებს ნებით გამოთხოვებულ ვეტერანებს. ნასვლის დრო მოუვიდათ, მიხვდნენ და წავიდნენ. მაგრამ განა ერთი და ორია ისეთი, ვისზეც ქართული რაგბის „მესაჭეებმა“ ასე ხელაღებით თქვეს უარი. ბევრნი არიან და ჩვენდა ჭირად იკარგებიან ქვეყნისთვის. მათ შორისაა შერკინების 26 წლის გამთამაშებელი ირაკლი აბუსერიძე, რომელიც ახლა ცუდ ფორმაში არ უნდა იყოს, მაგრამ ნაკრებში ფრანგულ კლუბთან „ორიიაკთან“ გაფორმებული კონტრაქტის გამო ვერ ჩამოდის. ადრე კავშირი უხდიდა კომპენსაციას, ახლა ვერ ხერხდება (თუ არ ხერხდება?)*

— ჩემი ნაკრებში უთამაშებლოლბა კონტრაქტის ბრალია. „ორიიაკის“ უფროსობა კლუბში გაცდენილი დღეების მიხედვით ხელფასს მიქვითავს და თუ ერთა თასის კალენდარს გავითვალისწინებთ, ფაქტიურად უფულოდ უნდა ვითამაშო კლუბშიც და ნაკრებშიც. ასე ვერ შევძლებ. საქართველოში რომ ვთამაშობდე, კიდევ ჰო, მაგრამ საფრანგეთში უხელფასოდ როგორ გავძლო? — გვითხრა გუშინ აბუსერიძემ საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.

— მაინც რა პირობებია ამისთანა?

— თუ კლუბში არ ვარ, კვირაში ხუთასს ევროს მიქვითავენ. ნაკრებში მატჩამდე ერთი კვირით ადრე ხომ მაინც უნდა ჩამოვიდე შეკრება რომ გავიარო? ჰოდა გამოდის თვეში ათასს ევროს დამიქვითავენ, მეტი ხელფასიც არ მაქვს. შარშანაც იგივე კონტრაქტი გვქონდა მეც და პალიკო ჯიმშელაძესაც, მაგრამ მაშინ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა აგვინაზღაურა ეს ფული.

— წლეულს არ ხერხდება იგივე?

— რა ვიცი, ჯერჯერობით მგონი არა... ერთა თასის დაწყებამდე დამირეკეს ნაკრების მწვრთნელებმა და მკითხეს, ჩვენთან ხარ თუ არაო. მე ვუთხარი კი ბატონო, მაგრამ ასეთი კონტრაქტი მაქვს და თუ მომიგვარებთ, პრობლემა არ არის მეთქი. ამ საუბრიდან რამდენიმე დღეში კიდევ დამირეკეს და მითხრეს, კავშირს ფული არ აქვს და ვერ დაგიძახებთო. არადა, ძალიან მინდა თამაში, თანაც თავს არ ვიქებ, მაგრამ მაგარ ფორმაში ვარ. თითქმის ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობ. ბოლო ორი მატჩი მეორე გუნდშიც მათამაშეს და ოთხი ლელო გავიტანე, ერთ შეხვედრაში სამი, მეორეში — ერთი.

— კიდევ ვის აქვს ეგეთი კონტრაქტები?

— ტარიელ რატიანიძეს, დანარჩენების არაფერი ვიცი.

— ნაკრების გადახალისებას როგორ უყურებ?

— გუნდი უნდა გადახალისებულიყო, მაგრამ ასე ერთი ხელის მოსმით არა. ძალიან კარგია საქართველოში მოთამაშე ბიჭებსაც რომ დაუძახეს და ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შანსს აძლევენ, მაგრამ რა დააშავეს იმ ლეგიონერებმა, რომლებიც ამ მომენტისთვის ობიექტურად ძლიერები არიან დანარჩენებზე და არც კი იწვევენ ნაკრებში. საქართველოში მორაგბე ვერ გაიზრდება. ელემენტარულად მანდ ბალახი არ არის, შებოჭვა რომ ისწავლო. აქ კი იდეალური მოედნებია, ტრენაჟორები, რაც გინდა სული და გული, ვარჯიშის გარდა საფიქრალი არაფერზე გაქვს. ერთ მაგალითს მოგიყვან. ჩემი თანაკლუბელი მევლუდ მთიულიშვილი ისეთ ფორმაშია, გზაზე ყველას და ყველაფერს ლეწავს, აქ ხელის გულზე ატარებენ, მეტოქის მორკინალებს პირდაპირ ლუნავს. ნაკრების მწვრთნელები კი მევლუდზე ამბობენ, დაბერდაო. ერთხელ მაინც ნახონ ან ტესტები ჩააბარებინონ. მერე ვნახავ, რას იტყვიან. თავი მომჭერი, თუ ვინც ახლა ნაკრების პირველ ხაზში არიან, ყველა ერთად აღებული არ დაგრიხოს.

და ერთიც, მე ვფიქრობ, რომ უცხოელი მწვრთნელი საჭიროა, კონსულტანტად მაინც. ქართველი მწვრთნელების დანიშვნა კარგი ნაბიჯი იყო, მაგრამ უცხოელის ხედვა და ცოდნა სულ სხვაა.

— პორტუგალიასთან და ესპანეთთან მატჩებზე რას იტყვი.

— მართალია, მე არ მინახავს არცერთი, მაგრამ ვინც ნახა ყველა ამბობს, რომ ძალიან ცუდად ითამაშეს ჩვენებმა. ახლა რუსეთი მოდის და... როგორც გავიგე ჩვენ მწვრთნელებს ისევ „ძველების“ იმედი აქვთ,



ემანდ რუსებთანაც არ წავაგოთო, მაგრამ საკითხავი რა არის იცი?

— რა?

— რა და პორტუგალიასთან სახლში რომ აგებ, ესპანეთთან ძლივს ფრეს თამაშობ. მე თუ მკითხავ პრობლემა ის კი არაა, რუსეთთან წააგებ თუ არა, პრობლემა ისაა, მომავლის გუნდს აკეთებდე და ბოლომდე არ იცოდე როგორ.

**ბაჩო სვანიძე**



# კარას საკარიერო



ვიღაცამ ხუან კარლოს ფერეროს მოუგო

**OPEN 13**
მარსელი. ჰარდი
საპრიზო 593 750 $

### პირველი წრე

**გრეგორი კარა** (საფრანგეთი) — ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) 7:6 (7:2), 6:7 (3:7), 6:3; **გილერმო კორია** (2, არგენტინა) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 7:6 (7:2), 6:3; **მაქს მირნი** (4, ბელარუსი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 4:6, 7:6 (7:5), 7:5; **ალბერტ კოსტა** (6, ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 7:6 (8:6), 7:6 (7:2); **მარკ როსე** (შვეიცარია) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:1, 7:6 (7:4); **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 4:6, 7:6 (7:4), 7:6 (7:1)

წინა კვირას როტერდამულ ფინალში ლეიტონ ჰიუიტისგან ძლეული ხუან კარლოს ფერერო მარსელში მთავარგანთესილად და შესაბამისი ამბიციებით ჩავიდა. მაგრამ როგორც ეს კაცთა საჩოგნეთში არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, ფავორიტის ამბიციებს უსახელო მეჩოგნის ანაზდითი აბობოქრება დაუპირისპირდა.

„სენსატორის“ მოვალეობა ამ ჯერზე ფრანგმა გრეგორი კარამ იკისრა, ვინაც ზეათეულელებს აქამდე ექვსჯერ შეხლოდა და ერთხელაც ვერ ეხეირა. იმ დღეს კი მისი დაოკება შეუძლებელი იყო. 28 წლისა და კორტის დონიდან 190 სანტიმეტრის ამთვლელმა „მამალმა“ რეიტინგსიის მეორეადგილოსანს ჯამში 27 ეისი ჩაუნისკარტა და ექვსი ბრეიკპოინტიდანაც მხოლოდ ერთი გაანაღდებინა. მატჩმა ორი საათი და 13 წუთი გასტანა და ფერეროს იმედგაცრუება, ხოლო კარას კარიერის უდიდესი გამარჯვება არგუნა.

წინა კვირებისას დამაშვრალი ფეხები ჯერაც მძიმედ მქონდა, ჯანზე ვერ ვიყავი და ეგეთ მოაწოდემიეძალე ტიპთან რა უნდა გამომსვლოდაო, ასე იმართლებოდა ესპანელი ნამატჩევს.

სხვაფრივ, ბუენოსაირესული თიხნარიდან — სადაც მან კვირას სეზონის პირველი ტიტული იშოვა — ევროჭერქვეშ გადმობარგებულმა გილერმო კორიამ რუსი დავიდენკო დაიმორჩილა. ასევე გაივაკა ტურნირის უმხცოვანესმა მეჩოგნემ, 33 წლის შვეიცარიელმა მარკ როსემ, ვისაც მარსელში სამგზის, 1993-94 და 2000 წლებში უპირველია. მისდარად სამგზის ჩემპიონმა შვედმა ტომას ენკვისტმა კი უმცროს თვისტომ რობინ სოდერლინგთან დათმო.

**ბრაზილიის ღია პირველობა**
კოსტა დუ საუიპე. თიხნარი
საპრიზო 380 ათასი $

### მეორე წრე

**გუსტავო კუერტენი** (3, ბრაზილია) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:3; **აგუსტინ კალიერი** (არგენტინა) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანელი) 6:4, 6:4; **ფრანკო სკილარი** (არგენტინა) — გასტონ გაუდიო (7, არგენტინა) 7:6 (7:3), 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** (8, არგენტინა) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:2, 6:4; **ტომას ბერენდი** (გერმანია) — რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი) 6:2, 6:2; **ლუის ორნა** (პერუ) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:4, 6:1

ამ ტურნირზე ისეთ მოთიხნარე წვრილფეხობას მოუყრია თავი, რომ თავის მე-20 საკარიერო და (2001 წლიდან პირველ სათიხნარო) ტიტულზე მონადირე გუსტავო კუერტენს ეგებ ჩოგანი ვერც ვერავინ შეუშალოს. ყოველ შემთხვევაში, 17 წლის ფრანგმა რიშარ გასკემ იმ დღეს მისი შეჩერება ნაღდად ვერ შეძლო და, ვინძლო, ეს მომდევნო წრეში არც ფრანკო სკილარის გამოუვიდეს.

**DUBAI DUTY FREE** მაგარსაფარი. 585 ათასი $

### მეორე წრე

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — სელიმა სფარი (ტუნისი) 6:1, 7:5; **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ალიშა მოლიკი (ავსტრალია) 6:3, 6:4; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) 6:4, 7:6 (7:2); **ანასტასია მისკინა** (4, რუსეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:1, 6:4; **აი სუგიამა** (5, იაპონია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:2, 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (8, ესპანეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:2, 6:2; **მეგან შონესი** (აშშ) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 7:6 (7:1), 6:4

ჯენიფერ კაპრიატისთვის პირველი საამსეზონო მატჩი დიალ წარუმატებელი გამოდგა. ნოემბრის შემდეგ წელმტკივანმა ვერაფერი გააწყო მობილიზებულად მოჩოგნავე დანილიდუს წინააღმდეგ და სეტისმოუგებლად დანებდა. მაგარი გოგოა და მასთან მაშინაც კი მიჭირს, ფორმაში რომ ვარ, ახლა კი ნაუქმევს გამოყოლილი ჟანგიც ზედ მქონდა და მით უფრო ჩავიფლავეო, დაახლოვებით ასე განმარტავდა ნამატჩევს ჯენიფერი.

სამაგიეროდ უპრობლემოდ გაიმეოთხედფინალეს შარშანდელმა ჩემპიონმა ჟუსტინ ენენ-არდენმა და ვინუს უილიამსმა. ჭინკა ბელგიელი მსოფლიო რეიტინგსიის 151-ეადგილოსან ტუნისელ სფარს გაუსწორდა, ხოლო ვინუსი, ვისთვისაც ეს შვიდთვიანი ტრავმიანობის შემდეგ მხოლოდ მეხუთე მატჩი იყო, მძლავრად მომწოდებელსა და ღონივრად მოგლაჯუნე ალიშა მოლიკს გასცდა.

**ლევან ძელაურაძე**



ვინუს უილიამსს დუბაიში მოსცლია

# საქართველოს ჩემპიონატი

# ესეც ჩემპიონი!

## დინამოს რაღაც აკლია

26 თებერვალი. ვერის ბაღი

**ბასკო 90:69 დინამო**

23:19 23:13 26:19 18:18

ბასკო: ი. ბერიშვილი (23), ბ. ბერიშვილი (9), კეშელავა (23), ტუჯანი (9), ბერძენიშვილი (22); დ. ბერიშვილი (2), იმნაძე (2), როდუმტა, ვ. მაისურაძე
დინამო: გამყრელიძე (2), ხოშტარია (22), გოგობერიშვილი (2), კეიდია (8), აბულაძე (3); ქლენტი (12), ჩუბინიძე (6), მინაშვილი (4), ბეჟანიშვილი (8), ლოსაბერიძე (2), მუშკუდიანი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე



„ბასკო“ ისევ გუნდია

„დინამოს“ ხორვატ თავკაც დრაჟენ ბრაიკოვიჩს შარშან გაზაფხულზე ერთხელ უკვე გაუხდა გული სამკურნალო და თუ ექიმი არა, ვეჭვობთ, წუხელ მას დასამშვიდებელი აბები მაინც დასჭირვებოდა... ისედაც ემოციურ კაცს გუშინ მართლაც ბლომად სანერვიულო დაჰგროვებოდა. მისი ნალოლიავები გუნდი უპრინციპულეს მეტოქესთან ისე შერცხვა, რომ ხორვატმა საფინალო სირენისთანავე დურთა თავი გასახდელში და სანამ კამერ-მიკროფონიანი ჟურნალისტები თვალს არ მიეფარნენ, აღარ გამოჩენილა...

ეს მატჩი ცენტრალური უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა გითხრათ, შეხედეთ ანგარიშს და მიხვდებით, რომ კალათბურთში მთავარი ფული არაა. ფინანსები და მსხვილ-მსხვილი ხელფასები რომ საქმეს შველოდეს, „დინამო“ წინდაწინ გამოცხადდებოდა საქართველოს ჩემპიონად და ვინძლო თავისი ადგილი „მზიან“ ევროპაშიც მოენახა.

ფინანსები ახსენეთ და სწორედ „ბასკო“ არ იყო, დოლარებში რომ ცურავდა და ჩემპიონობაც სამჯერ მოიგოო, შესაძლოა, მოგვედავოს მავანი. როცა „ბასკოს“ ბლომად ფული ჰქონდა, ეჭვქვეშ არასდროს დაუყენებია საკუთარი ძალა და სამჯერვე ღილინ-ღილინით მოიგო ქვეყნის პირველობა, ხოლო „დინამომ“ შარშან დიდ დავიდარაბაში მოიპოვა ჩემპიონობა და წლეულს კიდევ უფრო უჭირს.

დრაჟენ ბრაიკოვიჩი სახელდახელოდ ჩამოიყვანეს ეროვნულ ნაკრებში, როგორც ევროპული კლასის მწვრთნელი და მასვე ჩააბარეს მსხვილბიუჯეტიანი „დინამო“. ბალკანელ სპეციალისტს ყველა პირობა შეექმნა, ჩვენი უსუსტესი დონის ჩემპიონატის ფონზე მოწინავე გუნდი შეეკრა. მოთამაშეები საკუთარ ნება-სურვილით შეარჩია და მოსამზადებელი დროც საფლანგად ჰქონდა. თუმც, ჩანს, ბრაიკოვიჩი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა აქაურ კალათბურთში ხეირიანად, რაკი საშუალო შეძლებისა და გაცილებით სუსტი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ „ბასკოსთან“ გარდიგარდმო აგებს. ზღვისპირელთა მწვრთნელს არ ჰყავს დიდხელფასიანი და სახელიანი კალათბურთელები, მაგრამ მან სათამაშო პოზიციების მიხედვით კარგად შეარჩია ხალხი ანუ „ბასკო“ შედარებით დაბალანსებული გუნდია და გუშინაც სწორედ ამის ხარჯზე აჯობა დინამოელებს. ბრაიკოვიჩმა შარშან ფინალი კი მოუგო ნუგზარ კანდელაკს, მაგრამ საერთო ჯამში ქართველს სამით მეტ მატჩში დაუჯაბნავს ხორვატი. ესეც შენი ევროპული კლასი...

ის ფინალიც „დინამომ“ მნიშვნელოვანწილად საკუთარი მოედნის უპირატესობის გამო მოიგო, წლეულს კი ესეც აღარ ექნება, რადგან „ბასკო“ უკვე სამი მოგებით უსწრებს ბრაიკოვიჩის გუნდს და დარჩენილ ერთ წრეში ამ სხვაობის გაბათილება წარმოუდგენელი ჩანს. ის კი არა, „დინამოს“ მალე „სტუ-ჯეოსელიც“ გადაუსწრო, რომელმაც ბრაიკოვიჩს გუნდს კვირას სძლია.

ორი სიტყვით თავად მატჩზეც: ნუგზარ კანდელაკმა ზუსტად ისეთი ტაქტიკით შეუტია ბრაიკოვიჩის გუნდს, წინასამატჩო პრესკონფერენციაზე რომ თქვა. დაცვის ხაზი ცოტა ასწია პერიტმერის მისადგომებთან, რითაც „დინამოს“ სნაიპერებს სამქულიანების სროლის საშუალება შეუზღუდა. თბილისელები თამამად ვერც ფარქვეშ შედიოდნენ, რადგან იქ მაინც ვერაფერს გახდებოდნენ ტანმაღალ ბათუმელებთან. დავით ბერძენიშვილის მჯობნი ცენტრი დინამოელებმა ვერ მონახეს და „ბასკოსაც“ ულხინდა.

ბრაიკოვიჩის გუნდმა მხოლოდ ერთ მცირე მონაკვეთში მოახერხა ბათუმელთა სამწამიანში გაჯირითება, როცა „ბერძენა“ სკამზე ისვენებდა, ახალშემოსული ზურაბ ჩუბინიძე კი „ბასკოს“ სამწამიანში გაშინაურდა. ეს მოხდა პირველ მეოთხედში, „დინამო“ ქულით მიუახლოვდა მეტოქეს, თუმც პირველი მცირე შესვენების შემდეგ „ბასკოს“ ძირითადი ცენტრი მოედანზე დაბრუნდა და თავისი ადგილი უკუიპყრო.

უადგილოა ბასკოელთაგან ვინმეს გამორჩევა, თავის საქმეს ყველა კარგად ასრულებდა: ლაშა კეშელავა სამიანებს ყრიდა, ბერიშვილების ტრიო მეტოქის დაცვას სერავდა, კაკო-კენჭუაშვილი ტუჯანი კი ზედიზედ აფარებდა დინამოელებს...

...საფინალო სირენამდე 5 წუთი იყო დარჩენილი, ნუგზარ კანდელაკმა „ბასკოს“ სათადარიგოებს რომ ჩამოუარა და გამარჯვების ნიშნად ყველას გადაეხვია. „დინამომ“ დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე წააგო თამაში.

**ირაკლი პერტაია**

26 თებერვალი. ვერის ბაღი

**სსუ 82:76 ქუთაისი**

21:18 10:17 22:13 29:28

სსუ: კანკია (11), სორდია (35), ონიკაშვილი (3), ფაცაცია (3), ლუკავა (10); ქვილითაია (8), ფარლალავა (5), პატარაია (3), ურიდია (4)
ქუთაისი: შავლაყაძე (20), პირტახია (10), ნიჟარაძე (9), კოლუაშვილი (12), ნ. შანიძე (21); ცერცვაძე (4), ლოსაბერიძე, ჭულუხაძე, მამისეიშვილი
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია
კომისარი: როლანდ გელოვანი

**მაკაბი 112:97 თსუ**

18:27 32:18 28:27 34:26

მაკაბი: ნინოშვილი (38), ბადრიძე (18), წოწელია (27), ვაშაკიძე (12), სუხიშვილი (11); ტატუნაშვილი (4), კონჯარია (2)
თსუ: თორთლაძე (17), ი. მაისურაძე (27), ორმოცაძე (8), ნაცვლიშვილი (9), კოკოლიშვლი (17); სანიკიძე (6), საყვარელიძე (4), ვეფხვაძე (3), აბრამიძე (3), მარხვაშვილი (3), ფანჩულიძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 20 | 18 | 2 | +538 | 38 |
| დინამო | 21 | 16 | 5 | +433 | 37 |
| სტუ | 19 | 15 | 4 | +333 | 34 |
| თსუ | 20 | 11 | 9 | +79 | 31 |
| რუსთავი | 19 | 10 | 9 | +100 | 29 |
| მაკაბი | 20 | 7 | 13 | -132 | 27 |
| სსუ | 20 | 3 | 17 | -505 | 23 |
| ქუთაისი | 21 | 0 | 21 | -836 | 21 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რიგი დაიკავეთ!

## მათ უკან კაცი იდგა



**დენვერი 111:112 ლეიკერსი**

დენვერი: მილერი (21), ლენარდი (8), ენტონი (35), ნენე (10), კემბი (10); ბოიკინსი (8), ბერი (7), ანდერსენი (6), დოლიკი (4), ვაიტი (2)
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*
ლეიკერსი: პეიტონი (14), ბრაიანტი (35 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ფოქსი (6), მედვედენკო (10), ონილი (16); რასელი (10), რაში (8), ფიშერი (4), კუკი (4), გრანტი (3), უოლტონი (2), ჯორჯი

ძნელია ასეთ გუნდებთან თამაში. პლეიოფის ომებში გამოკვერილი „ლეიკერსი“ არასდროს შეუშინდება „დერვენისთანა“ ახალგამოჩეკილს და მასთან ბოლო მეოთხედში 13-ქულიანი ჩამორჩენაც არ ჩააგდებს პანიკაში. აქ მთავარი განწყობა და ნერვებია.

რა განსხვავებაა კობი ბრაიანტსა და კარმელო ენტონის შორის? ორივენი ერთი სიმაღლისა არიან, წონაც ერთი აქვთ და საკუთარ არსენალში თითქმის იდეალურად დახვეწილი ტექნიკა-დრიბლინგისა და სროლის გარდა კიდევ ბევრი იარაღი მოეძებნებათ. ორივემ 35 ქულა ჩააგდო. ისინი გვერდიგვერდ დგანან და თითქმის ერთნაირად თამაშობენ. მაგრამ კარმელო ენტონი არაა კობი ბრაიანტი, ჯერ არაა, იქამდე სინათლის არა და, ჩვეულებრივი წლები აშორებს. მოვა პლეიოფებიც, გამოცდილებაც დაგროვდება და შეიძლება „მელო“ დიდი მოთამაშე გახდეს, მანამდე კი ის უბრალოდ ვარსკვლავია, აგდებს ბევრ ქულას და მასზე ცოტა უფროსი და ცოტა პროზაული ბიჭებით შევსებულ „დენვერს“ ზოგიერთ თამაშს აგებინებს.

მეოთხე მეოთხედში „დენვერი“ 13 ქულით უგებდა „ლეიკერსს“, მაგრამ წააგო, რაკი მისი მოთამაშეები და მწვრთნელი ახალბედები არიან და თამაშის მოგების ისეთ პატარა ეშმაკობებს ვერ ფლობენ, როგორებიც არ ესწავლებათ კობი ბრაიანტს, გერი პეიტონს და რაც მთავარია, ამათ მწვრთნელ ფილ ჯეკსონს. „ლეიკერსის“ რამდენიმე შეტევა და „დენვერის“ უპირატესობა განახევრდა. პეიტონ-ბრაიანტის მოუხელთებელმა დუეტმა თავისი საქმე გააკეთა და ბოლო დარტყმისთვის ვითარება მოამწიფა — „ლეიკერსი“ ბოლო წუთში ოთხ ქულასღა აგებდა. ეს ბოლო დარტყმა ბოლო სროლაა და აქ უკვე ბედის დახმარებაც გჭირდება — ბურთი უნდა ჩავარდეს. სროლა კი ბიჭბუჭობამ შეასრულა. ქარიმ რაშს ბედი დაეხმარა, მისი სამქულიანი ჩავარდა და „ლეიკერსმა“ გაიმარჯვა, მაგრამ ამ ბედის უკვან მაინც იდგა ერთი კაცი.

„გუნდში ყოველთვის უნდა გყავდეს სამიოთხი თავისუფალი მხატვარი, ერთი ამდენი ამათი შემცვლელი და კიდევ ერთი ამდენი დაბოღმილი ჯეელი ვისთვისაც მოედანზე 20 წუთი შეუცვლელად ყოფნა ოცნებაა, ხოლო შენ, მათი მწვრთნელი ყველაზე საძულვები კაცი ხარ“ — აი, ფილ ჯეკსონის ფილოსოფია. მის მეთოდებს ბევრი ჩემპიონობა მოუტანია. დაძაბული თამაშის ბოლო წუთების ბნელ მღვიმეში, სადაც არ იცი, როდის რას წაეჯახები და სად ჩაგივარდება ფეხი, ის ღამურასავითაა, თვალებიც არ სჭირდება საფრენად.

ფილ ჯეკსონმა იცის შანსის მიცემა და არ შეიძლებმა მისი არგამოყენება. ახალბედა ლუკ უოლტონი — სხვათა შორის, 70-80-იანი წლების ლეგენდარული მოთამაშის ბილ უოლტონის ბიჭი — ბოლო წუთებზე მოედანზე იყო და მან ეს შანსი გამოიყენა. მატჩის დამთავრებამდე 53 წუთით ადრე ორქულიანი ჩააგდო და „ლეიკერსი“ 109:111 მიუახლოვა „დენვერს“. „დენვერმა“ გააფუჭა შეტევა. ხოლო ქარიმ რაშმა, რომელიც მეორე წელია ნბა-შია და ისე გაუხადა ჯეკსონმა საქმე, ბიჭს ათქმევინა — მლუპავს ეს შობელ...იო, ასევე შეირგო მოედანზე ნავარდის უფლება და 3 წამით ადრე სამქულიანი გაისროლა.

„ლეიკერსმა“ დენვერში 112:111 მოუგო „დენვერს“ და თავის გზაზე წავიდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

— 25 თებერვალი —

**ჰიუსტონი 90:84 კლივლენდი**
ჰიუსტონი: მობლი (22), მინგი (17)
კლივლენდი: ილგაუსკასი (17)

**ჩიკაგო 88:107 დეტროიტი**
ჩიკაგო: კარი (19)
დეტროიტი: ჰამილტონი (21)

**ტორონტო 75:76 ვაშინგტონი**
ტორონტო: მარშალი (20)
ვაშინგტონი: ბრაუნი (18)

**სიეტლი 92:93 იუტა**
ძირითადი დრო 84:84
სიეტლი: ალენი (40)
იუტა: კირილენკო (22)

**ფინიქსი 113:95 ნიუ იორკი**
ფინიქსი: სტუდემაიერი (24)
ნიუ იორკი: ტომასი (25)

**მემფისი 92:99 გოლდენ სტეიტი**
მემფისი: პოუზი (25)
გოლდენ სტეიტი: კლაქსტონი (28)

**ნიუ ორლეანი 99:93 კლიპერსი**
ნიუ ორლეანი: დევისი (26)
კლიპერსი: ბრენდი (19)

**ბოსტონი 104:106 მილუოკი**
ბოსტონი: პირსი (21)
მილუოკი: რედი (21)

**მინესოტა 81:68 ნიუ ჯერსი**
მინესოტა: ჰადსონი (29), გარნეტი (18)
ნიუ ჯერსი: მარტინი (18 ქულა, 12 მოხსნა), კიდი (11 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)



„ნიუ ჯერსის“ ახალბედა მწვრთნელი ლოურენს ფრენკი ზედიზედ 13 თამაშის მოგების შემდეგ „მინესოტასთან“ ჩაიჭრა



ბადრი ხასაია

# სერბეთში ლიცენზიები გამოჩნდა

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთათვის ოლიმპიადის საგზურთა დიდი ნაწილი შარშან გათამაშდა. 2003-ში ულიცენზიოდ დარჩენილებს ბოლო იმედად წლეულს ჩასატარებელი ორი საერთაშორისო ტურნირიღა აქვთ. პირველი ამ შაბათ-კვირას სერბულ ნოვი სადში გაიმართება, მეორეს კი ორ კვირაში ტაშკენტი უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრებიდან საბერძნეთში წასვლა აკაკი ჩაჩუამ (60კგ), მანუჩარ კვირკველიამ (66კგ), მუხრან ვახტანგაძემ (84კგ) და რამაზ ნოზაძემ (96კგ) ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე გაინაღდეს. მეოთხედფინალში ვერ გააღწიეს და სალიცენზიო ნორმატივი ვერ შეასრულეს ირაკლი ჭოჭუამ (55კგ), ბადრი ხასაიამ (74კგ) და მირიან გიორგაძემ (მძიმე).

ნოვისადსა და ტაშკენტში საგზურებს ოთხეულში მოხვედრილები მიიღებენ. ცხადია, დიდი ბრძოლებიც გაჩაღდება, თუმც ის ფაქტი, რომ ლიცენზიის მფლობელები ამ ტურნირებზე არ იჭიდავებენ, ქართველთა შანსებს შესამჩნევად ზრდის. ბევი დარჩიაც მხოლოდ საათენოდ მებრძოლი სამეულით გაფრინდა სერბეთს.

ხუთკაციან დელეგაციაში მოხვდა მსაჯი თემურ ყაზარაშვილიც, რომელიც ტურნირსაც იმსაჯებს. დღეს მოჭიდავეები აიწონებიან. ხვალ საღამოს უკვე მედლისთვის მებრძოლთა ვინაობებიც გაირკვევა, ზეგ კი ნახევარფინალები და ფინალები გაიმართება.

**ოთარ გაღლაძელიძე**



NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

# ეგ კვერცხები

25 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 8:2 ბუფალო**

*3:2 2:0 3:0*

**1:0 ელიაში (2), 1:1 როი (3), 2:1 ჯიონტა (17), 3:1 პანდოლფო (19), 3:2 აფინოგენოვი (20), 4:2 პანდოლფო (39), 5:2 რაფალსკი (40), 6:2 ჯიონტა (43), 7:2 ფრიზენი (44), 8:2 ელიაში (56)**

ლეგენდარული კოლორადოელი მეკარე პატრიკ რუა, რომელმაც კარიერა შარშან დაასრულა, ნჰლ-ის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მიღწევას ფლობს, თუმც ერთ რეკორდს ოთხშაბათს გამოეთხოვა. „ნიუ ჯერსის“ მეკარე მარტინ ბროდომ (სხვათა შორის, იგი თავის კერპად სწორედ რუას ასახელებს), 30-ე მოგება ზედიზედ მეცხრე სეზონში იზეიმა. აქამდე ამ რეკორდს იგი პატრიკ რუასთან ერთად იყოფდა.

„საერთდ არ ვფიქრობ პირად რეკორდებზე, მაგრამ ის მნიშვნელოვანი შედეგია. იგი ჩემს სტაბილურობასა და წარმატებებზე მეტყველებს“ — თქვა ბროდომ მატჩის შემდეგ.

ამ ისტორიულ გამარჯვებას ბროდომ ერთობ იოლად მიაღწია, ეს უფრო მისი პარტნიორების დამსახურებაა. განსაკუთრებით ელიაში-გომესი-ჯიონტას ხაზი უნდა გამოვარჩიოთ. ამ შეამხანაგებულმა ფორვარდებმა ბოლო 7 თამაშში 16 გოლი და 23 პასი მიითვალეს და ჟურნალისტები აიძულეს, თავი ემტვრიათ მათი მეტსახელის გამოგონებისთვის. ბოლოს, ყველაზე მარტივი ყველაზე გენიალური მეტსახელი შეირჩა. მათი გვარების პირველი ასოებიდან — „EGG“ — შედგა სიტყვა, რომელიც ინგლისურად კვერცხს ნიშნავს. „ბუფალოსთან“ თამაშში ყველაზე მეტი „კვერცხი“ პატრიკ ელიაშმა „დადო“ — 2 გოლი და 3 პასი.

„სულაც არ მადარდებს, რომ კვერცხი დაგვარქვეს. მთავარი ისაა, რომ კარგად ვთამაშობთ, კარგ სამეულს კი ყოველთვის რაღაცას არქმევენ“ — თქვა მატჩის შემდეგ ბრაიან ჯიონტამ.

**ფინიქსი 3:4 პიტსბურგი**

*2:1 1:2 0:0 0:1*

**0:1 მელიხარი (10), 1:1 ჰრდინა (13), 2:1 სილინჯერი (16), 3:1 ჰალსი (26), 3:2 მელოუნი (28), 3:3 მოროზოვი (40), 3:4 ჯეკმანი (62)**

ოთხშაბათი „პიტსბურგისთვის“ ისტორიული დღე იყო. ზედიზედ 18 მარცხის შემდეგ „პინგვინებმა“ როგორც იქნა, ჯავრი იყარეს და ლიგის ანტირეკორდს გადაურჩნენ. ოვერტაიმში გადამწყვეტი გოლი მცველმა რიჩარდ ჯეკმანმა გაიტანა და „ფინიქსის“ ახალ თავკაც რიკ ბოუნესს დებიუტი ჩაუშხამა.

**კოლუმბუსი 3:4 ჩიკაგო**

*1:2 1:1 1:1*

**0:1 რობიდა (4), 1:1 ვიბორნი (9), 1:2 რუუტუ (15), 1:3 რუუტუ (25), 2:3 ერიკსონი (28), 3:3 რაიტი (46), 3:4 კოლდერი (57)**

**ფლორიდა 4:0 ტორონტო**

*1:0 0:0 3:0*

**1:0 კოლნიკი (13), 2:0 კოლნიკი (41), 3:0 კალენი (42), 4:0 ჰაგმანი (53)**

**ატლანტა 2:4 ტამპა**

*1:1 0:0 1:3*

**0:1 ლეკავალიე (13), 1:1 სიმონი (17), 1:2 რიჩარდსი (41), 2:2 სავარი (53), 2:3 ლეკავალიე (59), 2:4 სტილმანი (60)**

**ვაშინგტონი 1:2 კაროლინა**

*0:1 1:1 0:0*

**0:1 კოული (19), 0:2 ონილი (30), 1:2 ლანგი (40)**

**დალასი 1:1 ლოს ანჯელესი**

*0:0 1:0 0:1 0:0*

**1:0 მოროუ (31), 1:1 ფროლოვი (55)**

**ანაჰაიმი 4:2 ედმონტონი**

*0:0 2:0 2:2*

**1:0 პავლიდი (30), 2:0 პოლსონი (35), 2:1 კროსი (41), 3:1 ლუპული (45), 3:2 ულანოვი (52), 4:2 ლუპული (57)**



ნიუჯერსელმა შონ ბრაუნმა ბუფალოელი ერიკ ბულტერი დასცა

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 64 | 33 | 11 | 5 | 15 | 185:146 | 82 |
| ოტავა | 63 | 34 | 8 | 5 | 16 | 208:138 | 81 |
| ტამპა | 62 | 33 | 7 | 5 | 17 | 180:143 | 78 |
| ტორონტო | 64 | 34 | 9 | 3 | 18 | 182:162 | 80 |
| ბოსტონი | 64 | 30 | 13 | 6 | 15 | 163:146 | 79 |
| ნიუ ჯერსი | 62 | 33 | 11 | 1 | 17 | 155:123 | 78 |
| მონრეალი | 64 | 31 | 6 | 2 | 25 | 162:148 | 70 |
| აილენდერსი | 62 | 29 | 9 | 2 | 22 | 174:153 | 69 |
| ბუფალო | 63 | 28 | 6 | 1 | 28 | 163:167 | 63 |
| ფლორიდა | 64 | 23 | 13 | 3 | 25 | 143:161 | 62 |
| ატლანტა | 64 | 24 | 6 | 2 | 32 | 172:200 | 56 |
| რეინჯერსი | 62 | 22 | 7 | 4 | 29 | 160:183 | 55 |
| კაროლინა | 62 | 20 | 12 | 3 | 27 | 120:153 | 55 |
| ვაშინგტონი | 63 | 19 | 8 | 2 | 34 | 148:193 | 48 |
| პიტსბურგი | 63 | 12 | 5 | 4 | 42 | 129:244 | 33 |

| დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 63 | 35 | 9 | 2 | 17 | 202:146 | 81 |
| კოლორადო | 62 | 33 | 10 | 4 | 15 | 182:140 | 80 |
| სან ხოსე | 62 | 30 | 11 | 5 | 16 | 161:132 | 76 |
| ვანკუვერი | 63 | 33 | 7 | 4 | 19 | 182:148 | 77 |
| დალასი | 63 | 30 | 11 | 0 | 22 | 139:137 | 71 |
| კალგარი | 62 | 31 | 5 | 3 | 23 | 149:138 | 70 |
| ლოს ანჯელესი | 63 | 24 | 15 | 7 | 17 | 167:163 | 70 |
| ნეშვილი | 62 | 30 | 7 | 2 | 23 | 159:165 | 69 |
| სენტ ლუისი | 61 | 29 | 7 | 2 | 23 | 144:156 | 67 |
| ედმონტონი | 63 | 25 | 10 | 1 | 27 | 161:161 | 61 |
| ანაჰაიმი | 64 | 22 | 9 | 8 | 25 | 140:166 | 61 |
| მინესოტა | 62 | 21 | 16 | 2 | 23 | 139:139 | 60 |
| ფინიქსი | 63 | 20 | 15 | 4 | 24 | 157:184 | 59 |
| ჩიკაგო | 62 | 18 | 7 | 5 | 32 | 143:184 | 48 |
| კოლუმბუსი | 63 | 17 | 8 | 4 | 34 | 132:181 | 46 |

*პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*

# საზერმა საზერი გააგდო



ბოლო ორი დღეა, ლიგაში მწვრთნელებს დაერივნენ. 25 თებერვალს რეინჯერსელი გლენ საზერის რიგი დადგა. ამ შემთხვევაში საქმე ასე იყო. შეიძლება ითქვას, საზერი საზერმა დაითხოვა. საქმე ის არის, რომ ეს ფრიად პატივცემული ადამიანი გუნდის გენერალური მენეჯერიც გახლავთ, ანუ ის, ვისაც ევალება საკადრო ცვლილებები. როგორც ჩანს, საზერს მობეზრდა გამუდმებული კრიტიკა. „რეინჯერსის“ ბოლოდროინდელ თამაშებზე ხშირად ესმოდა — „ძირს საზერი!“ ჰოდა, ყელში ამოუვიდა კაცს და გუნდის წვრთნა ასისტენტს, ტომ რენის გადაულოცა. ახლა ალბათ საზერი ძვირადღირებულ, მაგრამ ნაკლებად ეფექტური მოთამაშეების გაყიდვით დასაქმდება. პირველ ყოვლისა, შავ სიაში ბრაიან ლიჩსა და ალექსეი კოვალიოვს ასახელებენ.



## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 19 თებერვალი - 5 მარტი

VI ტური

ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 1:0
ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 0,5:0,5
*ვლადიმერ კრამნიკმა (რუსეთი) დაისვენა*




# თემური რაზმს ჩამორჩა

მსოფლიოს მე-13 ჩემპიონსა და რეიტინგსიის პირველ ნომერ კასპაროვს წლევანდელ ლინარესზე გამარჯვება ჯერჯერობით ვერ მოუპოვებია. რუს-ებრაელმა ტოპალოვთან შეხვედრაშიც თავი დაიზღვია, მკვეთრ იერიშებს მოერიდა და 36-ე სვლაზე ყაიმით დაშორდა მეტოქეს.

დიდოსტატის წარუმატებლობას სპეციალისტები მის „დიდ დასვენებას“ აბრალებენ და იმედოვნებენ, რომ მომდევნო შეხვედრებში უკეთ ათამაშდება.

VI ტურში ყველაზე საინტერესო შიროვისა და რაჯაბოვის შერკინება გამოდგა.

მასპინძელი დასაწყისშივე ცენტრის დაპყრობას შეუდგა, თუმც ნორჩ აზერბაიჯანელისგან სერიოზულ წინააღმდეგობას გადააწყდა და ორი პაიკით წაგებაში დარჩა. მდგომარეობის გამოსასწორებლად 30-ე სვლაზე შიროვმა შეწირვა განახორციელა, ოფიცერი პაიკში დასთმო და სასურველი შედეგიც მალე მიიღო. ამხელა უპირატესობით წინ გასული რაჯაბოვი ცოტა აიბნა და ლაზიერი ეტლში გაცვალა. 36-ე სვლაზე ალექსეის მეფე, დედოფალი და სამი პაიკი შერჩა, თემურს კი ხელმწიფე, ეტლ-პაიკების წყვილით. უპირატესობა შიროვის მხარეს იყო და 30 სვლაში მან ბრძოლის ველი გამარჯვებულმა დატოვა.

ყმაწვილი თემური წყვილი მარცხით ბოლო ადგილზე გამყარდა. შეჯიბრებაზე ჯერჯერობით 18 პარტია გათამაშდა, საიდანაც მხოლოდ ორი არ დასრულებულა ყაიმით და ორივეში სწორედ აზერბაიჯანელია წაგებული. ლიდერებმა ლეკომ და შიროვმაც სწორედ თემურთან აიღეს მსუყე ქულები. სუპერტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, ასე ვთქვათ, ყველაზე სანატრელ მეტოქედ იქცა.

მეორე მასპინძელმა ვალეხომ და ლეკომ შოტლანდიური პარტია გაითამაშეს. მე-11 სვლაზე უნგრელმა იერიშები წამოიწყო და თანდათან უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ბოლოს ცაიტნოტში აღმოჩნდა და იძულებით ყაიმზე დათანხმდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 3 ქულა/5 თამაში |
| 2 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 3/5 |
| 3 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 2,5/5 |
| 4 | ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 2,5/5 |
| 5 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 2,5/5 |
| 6 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2,5/5 |
| 7 | თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 2/6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS კომერსანტი

# პოკერის მსოფლიო ტური

კალიფორნიაში, სათამაშო ქალაქ კომერსში (კომერციაო) გახურდა „მსოფლიოს პოკერის ტური“. ეს არის პოკერის თამაში, რომელიც ტელევიზიით გადაიცემა და ტელევიზორში კი ყველაფერი ჩანს, თვით დაფარული კარტებიც კი. რახან ამბავი კალიფორნიაშია, „მსოფლიო ტურში“ ბევრი ვარსკვლავი მონაწილეობს. მაგალითად, ბენ აფლეკი, ანდა განთქმულნი — ლოლიტა დავიდოვიჩი და ჯეიმს ვუდსი, რომლებიც ერთმანეთის დამარცხებას ლამობენ.



REUTERS კომერსანტი

# ადვოკატი

პამელა მაკი კობი ბრაიანტის ადვოკატია. „ლეიკერსის“ ვარსკვლავს ქალის გაუპატიურებაში ედება ბრალი. „ლეიკერსი“ კი დენვერს სტუმრობს და იქაურებს ამარცხებს. პამელა ალბათ ფიქრობს, რომ „ლეიკერსი“ უფრო იოლად იგებს თამაშებს, ვიდრე ისა და მისი კლიენტი სასამართლოს.







# ბექემიანთ დღეობა

ხუთი წლისა შესრულებულა ბექემიანთ უფროსი ვაჟი ბრუკლინი, რომელსაც მშობლებმა მთელი კლასი დაუპატიჟეს და სავანგებო კარავიც გაუწყვეს თავიანთ ჩემირულ მამულში. მამა პირდაპირ მოუნხენიდან ჩამოფრენილა, დედა პოში კი დიასახლისად იყო. უმცროსი ძმა, რომეოც იქ ბრძანდებოდა და ყველამ საჩუქარი მოიტანა. თავად დაბადების დღე კი 10 ათასი გირვანქა დაჯდა.





# ქალები საგზურისთვის

ცენტრალურ ამერიკაში გახურებულია იქაურ და კარიბელ ქალ ფეხბურთელთა ნაკრებების შესარჩევი ტურნირი ფეხბურთში. რვიდან ორი საუკეთესო ათენის ოლიმპიადაზე ითამაშებს. ჰაიტიზე ახლა სამოქალაქო ომია, თუმცა ქალთა გუნდი მაინც თამაშობს და იქაური ნატაჩა კაჟუსტე გვარიანი მონდომებით ებრძვის ბურთისთვის მექსიკელ ირის მორას.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge